

**გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ოფისის განცხადებით**

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წაშში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 17-22, მთიან რაიონებში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

## მორწმუნეებს დღესასწაული აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ მიულოცა

ერთგვარიანი მძიმე მარხვის შემდეგ, ქართველი მუსლიმები რამადან ბაირამს აღნიშნავენ

სადღესასწაულო ღონისძიება ბათუმის ცენტრალურ მეჩეთში საქართველოს მუფთამ ადამ შანთაძემ აღავლინა. მორწმუნეთა ნაწილმა ბაირამის ღონისძიება მეჩეთის მიმდებარე ქუჩაზე შეასრულა.

მორწმუნეებს დღესასწაული აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად მიულოცა. «რამადან ბაირამის დღესასწაულს ვულოცავ მუსლიმ მრევლს. სიკეთეს ვუსურვებ მათ ოჯახებს, ჩვენს ქვეყანას მშვიდობას, მეტ სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემას», - აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

რამადანის მარხვის დროს მორწმუნეები 30 დღის განმავლობაში, მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე უარს ამბობენ ყოველგვარი საკვებისა და წყლის მიღებაზე. ბაირამის დღეს მორწმუნეები ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავენ, უხვად გასცემენ მოწყალეობას და მოინახულებენ წინაპართა საფლავებს.



## ინფრასტრუქტურული სამუშაოები - გონიო-კვარიათში

გონიო-კვარიათის ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიწყო. ინფორმაციას ბათუმის მერია ავრცელებს

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 2-კილომეტრიანი მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია - ასფალტის საფარის დაგება, განათების ბოძების მონტაჟი და სანიაღვრე არხების მოწყობა.

პროექტის ღირებულება 2 მლნ 700 ათას ლარს შეადგენს. სამუშაოები მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდება.

პროექტის მიმდინარეობას ქალაქის მერი არჩილ ჩიქოვანი, საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე და სხვა მაღალჩინოსნები გაეცნენ.

- მოსახლეობისათვის, ასევე ქალაქის სამომავლო განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება დაგეგმილია გონიო-კვარიათის ადმინისტრაციულ ერთეულში. იგეგმება 2 კმ-იანი გზის მონაკვეთის სრული მშენებლობა-რეაბილიტაცია, სადაც გარკვეულ ნაწილზე დაიგება ასფალტის, ხოლო დარჩენილ მონაკვეთზე - ბეტონის საფარი. გარდა ამისა, მოეწყობა სანიაღვრე და განათების სრულიად ახალი სისტემა. მოგეხსენებათ, აღნიშნულ ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურა არასდროს მოწესრიგებულა. პროექტი მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ქალაქის სამომავლო განვითარებისთვის, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.



**კანონი, როგორც რუსთაველის გამზირი კვავ აახეპურა**

**2**

**«ყოველთვის ჩამოვიღის მატარებელი, როგორც აუხილაველია, ბაკყვი»**

**7**

**ვახტანგ ღლონტი: ნუ დაიღვლებით სამეოხლოს ერთგულებით**

**5**

**წლების შედეგ გაგებული სიმატლე და 27 წლის ასაკში ნაოხნი დელა**

**8**

ISSN 2720-8702

9 772720 870003

**გამოინერეთ გაზეთი «აჭარა»!**

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



# კანონი, რომელმაც რუსთაველის ბაზირი კვლავ აახმაურა

თამარ ლაშაბაძე 595 85 80 06

ქვეყანაში საარჩევნო ციებ-ცხელება მკვეთრად ჯერ კიდევ არ შეინიშნება მიუხედავად იმისა, რომ პარტიები სხვადასხვა პლატფორმის ქშინა და მოსახლეობას ხედებიან, თუმცა კანონპროექტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ შეიძლება პოლიტიკური ვითარება დაძაბოს და ამას თან დაერთოს, ერთი მხრივ, ხალხის მუდმივი პროტესტი და მეორე მხრივ, დასავლეთისგან მეტი შენიშვნა



რა გასაკვირია, აღნიშნული კანონპროექტი ხმაურის და აუთოტაჟის მიზეზი რომ გახდა და მრავალჭირვარამგამოვლილი რუსთაველის გამზირი კვლავ საპროტესტო არენად აქცია. მოგეხსენებათ, 9 აპრილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლოა. აქციის ორგანიზატორებს სიმბოლურად ძალიან მკვარებით და სწორედ ამ დღეს მიუძღვნეს აქცია. მათი თქმით, ახლაც უნდა ვიბრძოდეთ თავისუფლებისთვის, როგორც 35 წლის წინათ. აქციის მონაწილეებს შორის იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. 9 აპრილს გამართულ აქციას „დეჟავიუს“ ეფექტი ახლდა, რადგან შარშანდელი მარტის გამოსვლები სწორედ ამავე კანონის წინააღმდეგ იყო მიმართული და შედეგად გამოიღო - „ოცნებამ“ უკან გაიწვია კანონპროექტი. რა იქნება ამჯერად? გაიტანს თუ არა ბოლომდე ხელისუფლება კანონპროექტს? როგორც ამბობენ, ღირს აპირებენ უკან დახევას. შეგახსენებთ, რომ მაშინ ბევრმა ადამიანმა გააპროტესტა ამ კანონპროექტის უკან გაწვევა.

წინააღმდეგ გამოდიან. მათ შორის არიან საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები, ილიკო და ნინო სუნიშვილები, „ვასო აბაშიძის თეატრის“ წევრები, ქართველი მსახიობების ნაწილი. ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კანონის დასაცავად შეინიშნება სხვადასხვა აქტიურობა მმართველი პარტიის მხარდაჭერებისგან. „თუკი ყველაფერი სუფთადაა, თუკი ყველაფერი წესრიგშია, გამჭვირვალობის ნუ გეშინია, შეავსე დეკლარაცია“ - ამ შინაარსის პლაკატებით აჭრელებულ კედლებზე მხდებოდა, გამოგრჩეს მხედველობიდან. „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოებისთვის სიმართლის სათქმელად, როგორც თავად ამბობენ, ეს ხერხი აირჩია. პლაკატები გაკრული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთანაც, რომლებიც ამ უკანასკნელის წევრებმა დაუყოვნებლივ ჩამოხიეს. სოციალურ ქსელში დაიბლოკა და ცენზურა დაედო „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების პოსტებს, სადაც მკაფიოდ არის ხაზგასმული, რატომ არის ეს კანონი ევროპული და არა - რუსული. საპარლამენტო უმრავლესობის განცხადებით, „ფეისბუქზე“ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტზე მმართველი გუნდის საინფორმაციო ბანერების დაბლოკვის უკან სერჯი კაპანაძის „გრა“ და თამარ კინწურაშვილის „მედიის განვითარების ფონდი“ დგას. გარდა ამისა, მმართველი გუნდის თქმით, კვლავ კიდევ ერთ პირთან მივყავართ. საუბარია ნიკოლოზ ბოლქვაძეზე, რომელიც Meta-ს სათავე ოფისში მუშაობს. ბოლქვაძე წლების განმავლობაში მიხედილ სააკაშვილის სოციალური მედიის მენეჯერი იყო, კანონის მოწინააღმდეგე არასამთავრობოების კი, ლობისტების მეშვეობით, აქვთ მოპოვებული ვიდეოგადაცემა სერთაშორისო „ფაქტჩეკი“, რომელიც Meta-ს ინფორმაციას აწვდის.

და მაინც, რატომ გააქტიურდა კვლავ ეს თემა?

მმართველი პარტიის ინფორმაციით, საქართველოში დიდი ფული შემოდის როგორც სასამართლოს წინააღმდეგ, ასევე, ოჯახის ინტერესების დაცვის საპარლამენტო მოქმედებებისთვისაც. „ქართული ოცნებაში“ აცხადებენ, რომ ამის ერთ-ერთი დასტურია მედიის ვაგონებზე ინფორმაცია, ლგბტ თემების პროპაგანდის მიზნით „მთავარი არხისთვის“ დამტკიცებული გრანტის შესახებ. ნიკა გვარამია ამტკიცებდა, რომ ტელეკომპანიის მიერ მიღებულ გრანტს ლგბტ პროპაგანდასთან კავშირი არ აქვს და მას მიზნობრიობა, საერთოდ, არ ჰქონია, თუმცა ამგვარი პასუხი მმართველ გუნდს კიდევ უფრო მეტ ეჭვს და შეკითხვას უჩენდა, შესაბამისად, კანონპროექტის თემა ისევ დღის წესრიგშია.

სოციალურ ქსელში უკვე გააქტიურდნენ ცნობილი სახეებიც, რომლებიც ამ კანონის წინააღმდეგ გამოდიან. მათ შორის არიან საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები, ილიკო და ნინო სუნიშვილები, „ვასო აბაშიძის თეატრის“ წევრები, ქართველი მსახიობების ნაწილი. ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კანონის დასაცავად შეინიშნება სხვადასხვა აქტიურობა მმართველი პარტიის მხარდაჭერებისგან. „თუკი ყველაფერი სუფთადაა, თუკი ყველაფერი წესრიგშია, გამჭვირვალობის ნუ გეშინია, შეავსე დეკლარაცია“ - ამ შინაარსის პლაკატებით აჭრელებულ კედლებზე მხდებოდა, გამოგრჩეს მხედველობიდან. „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოებისთვის სიმართლის სათქმელად, როგორც თავად ამბობენ, ეს ხერხი აირჩია. პლაკატები გაკრული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთანაც, რომლებიც ამ უკანასკნელის წევრებმა დაუყოვნებლივ ჩამოხიეს. სოციალურ ქსელში დაიბლოკა და ცენზურა დაედო „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების პოსტებს, სადაც მკაფიოდ არის ხაზგასმული, რატომ არის ეს კანონი ევროპული და არა - რუსული. საპარლამენტო უმრავლესობის განცხადებით, „ფეისბუქზე“ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტზე მმართველი გუნდის საინფორმაციო ბანერების დაბლოკვის უკან სერჯი კაპანაძის „გრა“ და თამარ კინწურაშვილის „მედიის განვითარების ფონდი“ დგას. გარდა ამისა, მმართველი გუნდის თქმით, კვლავ კიდევ ერთ პირთან მივყავართ. საუბარია ნიკოლოზ ბოლქვაძეზე, რომელიც Meta-ს სათავე ოფისში მუშაობს. ბოლქვაძე წლების განმავლობაში მიხედილ სააკაშვილის სოციალური მედიის მენეჯერი იყო, კანონის მოწინააღმდეგე არასამთავრობოების კი, ლობისტების მეშვეობით, აქვთ მოპოვებული ვიდეოგადაცემა სერთაშორისო „ფაქტჩეკი“, რომელიც Meta-ს ინფორმაციას აწვდის.

ფეისბუქ პოსტებით ბრძოლა არ არის ახალი, მაგრამ ისედაც არეულ პოლიტიკურ გარემოს, სოციალური ქსელებით ბრძოლა კიდ-

ვის სატყეო გზების მოსაწყობად, სააგენტოს იაპონიის საელჩოს სახსრებით შეძენილი მცირეგაბარტიანი მუხლუხა ექსკავატორი გადაეცა.

## პრონია

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს. ჩამონათვალია სკვრების, სანიაღვრე ჭების, ზღვაზე გამსვლელი არხების, სახლების, სარდაფების და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. „მაგარატიონის ქუჩაზე სკვრის მშენებლობა გრძელდება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ველობილიცისა და კაუჩუკის საფარის მოწყობა. აფხაზეთის დასახლებაში სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია გრძელდება. სანიაღვრე არხები ეწყობა ანა კალანდაძის ქუჩაზე ვარშანის ქუჩის მიმართულ კვეთში, გენის მიმდებარე და წმინდა ნინოს ქუჩაზე. ჯავახიშვილის ქ. №69-ის ეზოში მდებარე სკვრის მიმდინარეობს ფანჯარების და საბადე სკამების განახლება. სანიაღვრე ჭები და ცხაურების გაწმენდილი სამუშაოები ხორციელდება ბერიძის, წერეთლის, გორგასლის, ფარნავაშვილის, კაკაბაძის, პუშკინის, ლორიას, მესხეთის, გვარამიას, ზ. აბაშიძის, მგელაძის, ჩაიკოვსკისა და კომანისის ქუჩებზე. ზღვაში გამსვლელი არხები გაიწმინდა გონიოში. ბათუმის საჯარო სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გეგმური შემოწმება დაიწყო. ესთეტიკური ცენტრებიდან, სილაშვილის სალონებიდან და სამედიცინო დაწესებულებებიდან სახიფათო სამედიცინო ნარჩენების გატანა გრძელდება. სამედიცინო ნარჩენების გაუვნებლობა კანონდებლობით დადგენილი ნორმებით სრულდება. მიმდინარეობს მრავალსართულიანი სახლების სარდაფებისა და სადარბაზოების დერატორების, ქალაქის მასშტაბით გრძელდება ტროტუარების, გზაგამყოფების, სკვრების, პარკებისა და ეზოების მოწესრიგება. სამუშაოები გორგალაძის ქუჩაზე განხორციელდა. ხიმშიაშვილის ქუჩაზე სხვადასხვა სახეობის მცენარეები დაირგო.“ - ნათქვამია მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიუჯარაძემ პირველ მოადგილესთან, მარი ზანაქიძესთან ერთად, სამინისტროს პროგრამების შესახებ მაქსიმალური ინფორმირების მიზნით, მორიგი შეხვედრა გამართა ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ექიმებთან და მენეჯერებთან. კლინიკა ჩართულია სამინისტროს შემდეგ პროგრამებში - ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება, სახსრების ენდოპროთეზირება, ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანდაფინანსება და ამბულატორიული მალტრექტორიული დიაგნოსტიკური კვლევები. ვიზიტის ფარგლებში მინისტრი პედაგოგიურ განყოფილებაში არსებულ სამედიცინო სერვისებს გაეცნო.

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ თანამშრომლებს შეხვდა და სააგენტოში წელს დაგეგმილი პროექტების მიმდინარეობას გაეცნო. მინისტრმა შეხვედრაზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს და სატყეო სააგენტოს 2023 წლის მუშაობა შეაჯამა და გაწეული საქმიანობისთვის თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა. როგორც ზაზა შავაძემ აღნიშნა, სატყეო სააგენტოს გუნდის საქმიანობა ორიენტირებული იქნება ტყის დაცვისა და მოსახლეობის მიმართ არსებული მთავარი ვალდებულებების სწორად შესრულებაზე. აღსანიშნავია, რომ აქამდე „თემი და გარემოს“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ შესაძლებლობების გაძლიერების, ტყის ხანძრების პრევენციისა და მათზე სწრაფი რეაგირების-

თვის სატყეო გზების მოსაწყობად, სააგენტოს იაპონიის საელჩოს სახსრებით შეძენილი მცირეგაბარტიანი მუხლუხა ექსკავატორი გადაეცა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გრიგოლ რობაქიძის ბათუმის ფილიალის ტურიზმის ფაკულტეტების სტუდენტები კომპანია „ექსპო ბათუმის“ ბაზაზე ერთობლივ სტაჟირებას გაივლიან. ამ წლის განმავლობაში ისინი კომპანიის საგამოყენო საქმიანობაში ჩაერთვებიან. რეგიონი 10-12 მაისს „ტურიზმისა და სატურმო ალტურვილობის“ საერთაშორისო კონფერენსა უმასპინძლებს, რომელიც წელს მეთხუთმეტედ, ახალი სახელმწიფო „BIT 2024“ ჩატარდება. „ტრადიციულად, ტურიზმის ფაკულტეტის 40-მდე სტუდენტი საგამოყენო კომპანია „ექსპო ბათუმში“ ტურიზმისა და სატურმო ალტურვილობის რიგით მე-15 საერთაშორისო გამოყენის საორგანიზაციო პროცესში ჩაერთვება და ერთობლივ პრაქტიკას გაივლის. ჩვენს სოფლის უცვლელი „საერთაშორისო და შიდა ტურიზმი“ ექსპო ბათუმში“ აერთიანებს“, - აღნიშნა საერთაშორისო საგამოყენო კომპანიის დამფუძნებელმა ოსმან ჩალიშქან მუჟანაძემ.

რეგიონში სერვისის გაუმჯობესების მიზნით, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით, ტრენინგები დაიწყო. დეპარტამენტის ინფორმაციით, პირველ ეტაპზე, თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგები განთავსებისა და კვების ობიექტების მიმტანების უტარდება. კრძოლ, მაგადის სერვირება, სტუმრისთვის კრძებისა და სასმელების შეთავაზების სტანდარტები, შეკვეთის მიღების წესები, კონფლიქტური სიტუაციების მართვა, სტუმრების მისაღებად და მავალსთან მიაბრუნება. ეს იმ საიტების

შესახებ შიდა ბაზრის მარმონიზებული მოთხოვნის დაწესება...

და მაინც, რატომ არის ეს კანონი რუსული საქართველოში?

შეკითხვა დასმულია, მაგრამ ლოგიკური, საფუძვლიანი და არგუმენტირებული პასუხი ჯერ არსად ჩანს.

ფაქტია, რომ მთავრობისა და ოპოზიციის ერთ აზრამდე მისვლის შანსი თითქმის არ არსებობს.

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ქართული ოცნებიდან“ ილია ვერძაძე, ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ „ნაცვლად ჩანს ოპონირებისა, გამჭვირვალობის მხარდაჭერისა და საერთაშორისო ასპარეზზე ერთიანი პოზიციის დაფიქსირებისა, ოპოზიციის დესტრუქციულობა სახეზე და საზოგადოება ამას ხედავს“, „ქართული ოცნების“ ბათუმის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე და საკრებულოს წევრ რიჩარდ სირაბიძის თქმით კი სახელმწიფომ უნდა იცოდეს, საიდან და რისთვის ფინანსდება არასამთავრობო ორგანიზაციები.

„ორგანიზაციებმა მხოლოდ წლიური დეკლარაცია უნდა შეავსონ, სხვა არანაირი ვალდებულება არ ექნებათ. თუ ქვეყნისთვის სასიკეთო დაფინანსებებს იღებენ, მაშინ რა არის ამაში დასამალი ან საწინააღმდეგო? იყოს გამჭვირვალე!“ - აღნიშნა სირაბიძემ.

ოპოზიციის მიხედვით, რომ მთავრობას ძალაუფლების დაკარგვის ეშინია და არ სურს ქვეყნის სწორ გზაზე დადგომა.

„მთავრობამ შემოიტანა რუსული კანონი იმიტომ, რომ მას არ სურს ამ ქვეყნის ევროპული მომავალი, არ სურს ამ ქვეყნის განვითარება, მოსახლეობის კეთილდღეობა და მათ სურთ მხოლოდ რუსეთი“, - გვითხრა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ნიკა ქაშიბაძემ.

„ლოლოს“ აჭარის ორგანიზაციაში ამბობენ, რომ ეს კანონი გარკვეული შევსება ირაკლი კობახიძესა და ირაკლი ღარიბაშვილს შორის.

„მათ მიიღეს დაავლება და გარდა ამისა, ეს არის პირადი დაპირისპირების საკითხიც, რომლითაც კობახიძეს თითქოს უნდა, დაუმტკიცოს ღარიბაშვილს, რომ უნდაც მან ვერ მიაღწია, თავად შეძლო და მიიღო რუსული კანონი. ეს არის დადგომა რუსულ ორიენტაზე, რაც ჩვენ ისედაც კარგად ვიცოდით“, - აღნიშნა ვაჟა დარჩიამ.

ორად გაყოფილი საზოგადოება, დავა - კანონი რუსულია თუ ევროპული, აქციები... დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში ასეთი მდგომარეობაა. ფიქრი იმაზე, რომ დეპოლარიზაცია ისეც ნაბიჯი გადავდგათ, ამოვისუნთქოთ და დავისვენოთ, სამწუხაროდ, ისევ პერსპექტივად რჩება.

მცირე ჩამონათვალია, რომელსაც მიმტანები ტრენინგებისას გაეცნობიან.

კიდევ ერთი საინტერესო წიგნი „ხალხური რეწვა - აჭარაში“ მზადდება. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო ახალ სახელმძღვანელოს რეგიონში არსებული და მივიწყებული რეწვის დარგების პოპულარიზაციის მიზნით გამოსცემს. დეპარტამენტის ცნობით, წიგნის მოსამზადებლად აჭარაში მივიწყებული დარგების კვლევა-შესწავლა განხორციელდა, მასალა დასურათდა და გზამკვლევი გაერთიანდა. მასში გრძელი თავები ეთმობა ფიქრობას, მეთუნეობას, ხალხურ მეტალურგიას, ხითხურობას, ქვითხურობასა და ქართული ხალხურ დეკორს. წიგნის დაბეჭდვა მისი ბოლომდე იეგემება, მისი ელექტრონული ვერსიის ნახვა კი დაინტერესებულ პირებს სააგენტოს ვებგვერდზე შეუძლიათ.

საგამოძიებო სამსახურმა კანონდარღვევით მოქმედი აფთიაქი გამოავლინა, საიდანაც უკანონოდ ხდებოდა ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების რეალიზაცია. ინფორმაციის ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ავრცელეს. „აჭარის რეგიონში გამოვლინდა კანონდარღვევით მოქმედი აფთიაქი, საიდანაც, რიგ შემთხვევაში, უნებართვოდ, ანდა შესაბამისი სანქცირებო პირობების დარღვევით, რეცეპტის გარეშე, სხვადასხვა დასახელების ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების რეალიზაცია ხდებოდა“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

მასალა მოამზადა ხატია იაშვილმა



# ევროკავშირი - კეთილდღეობის და სტაბილურობის სივრცე

ლავა ხომარაძე 593 50 82 69

საერთაშორისო პოლიტიკაში ევროკავშირი უმნიშვნელოვანესი აქტორია, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს მომავალს აშშ-სთან და ჩინეთთან ერთად წყვეტს. იგი საერთაშორისო ასპარეზზე წამყვანი მოთამაშეა, რომელიც 1992 წლიდან ცნობისთვის: ამ გაერთიანებას დაარსებიდან 32 წელი შეუსრულდა. ცხადია, ჩნდება კითხვა - როგორია ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა და საქართველოს მოლოდინი ამ თვალსაზრისით? სწორედ ამ საკითხებზე ვე-საუბრებთ პოლიტოლოგ ბეჭა ირმაძეს.

**- დღესდღეობით რას წარმოადგენს ევროკავშირი?**

- დღესათვის ევროკავშირი დემოკრატიული სახელმწიფოების უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, ის მიზნად ისახავს მშვიდობას, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას თავისი მოქალაქეებისთვის. საერთოდ, ევროკავშირი არაერთი კუთხითაა მიმზიდველი, თუნდაც ეკონომიკურით, ამიტომაც ესწრაფვის ჩვენი ქვეყანა ევროპულ ქვეყნებთან ურთიერთობას, თუმცა ევროკავშირში გაწევრიანებას დრო სჭირდება. არსებობს ხელის შეშლის ფაქტორები, რომლებიც დამოკიდებული არ არის საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობაზე, კერძოდ, ის მწვევად რეაქცია, რასაც რუსეთი თუნდაც საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭების გამო ავლენს. ოფიციალური მოსკოვი რატომღაც მიიჩნევს, რომ ევროკავშირის და პოსტსაბჭოთა ქვეყნების თანამშრომლობა მის წინააღმდეგაა მიმართული.

**- როგორც ჩანს, რუსეთი არა მხოლოდ ნატოს, არამედ ევროკავშირის მიმართაც ამჟღავნებს აგრესიას, რა არის ამის მიზეზი?**

- რეალობა ის გახლავთ, რომ ევროკავშირმა ნატო გამოაცხადა ევროკავშირის უსაფრთხოების ქოლგად. ეს იმას ნიშნავს, რომ ნატო განიხილება ევროკავშირის უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმად. თუ დავაკვირდებით, ნატოსა და ევროკავშირის შემადგენლობაში ერთი და იგივე სახელმწიფოებია. რუსეთს, ალბათ, ამიტომ უჩნდება განცდა, რომ ევროკავშირიც ისეთივე საფრთხის შემცველი გაერთიანებაა, როგორც თავად ნატო. არადა, რეალურად, ევროატლანტიკური ორგანიზაციები ნამდვილად არ არიან დაინტერესებული რუსეთის დაშლით. მათი მიზანია, ეს სახელმწიფო იყოს დემოკრატიული ქვეყანა და პატივი სცეს მეზობელი ქვეყნების სუვერენულ არჩევანს.

**- რამდენად მზად ვართ ევროსტრუქტურებში გასართიანებლად და როგორ უნდა ვიმუშაოთ, რომ საწარმოო მიგაწვით?**

- ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ ევროსტრუქტურებში გაერთიანება მხოლოდ იმ ქვეყნებისთვისაა შესაძლებელი, ევროპულ ღირებულებებსა და მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებს. ამ მოთხოვნების უმაღლესი სტანდარტები თავისთავად აერთიანებს კაცობრიობის მონაპოვარს, რომლის მეოხებითაც ადამიანი თავისუფალი და დაცულია, გარანტირებულია მისი უფლებები და მოვალეობები. თუ ბოლო წლების პროცესების ანალიზიდან ამოვალთ, ევროკავშირი ჩვენთან არსებული სტანდარტების დაკმაყოფილებას აუცილებლობად მიიჩნევს. გვაძლევს რეკომენდაციებს, რომ ამა თუ იმ სფეროში რეფორმები გავატაროთ, რათა დავეუზღოვოთ ევროსტანდარტებს, ბოლო წლებში ამგვარი მიზნების შესრულებაზე არც ისე დადებითი შედეგები გვაქვს.



**- როგორც ცნობილია, ევროკავშირის საქართველოს 9 დათქმის შესრულება დაავალდებულა...**

- ესენია: დეოლიგარიზაცია, პოლარიზებული გარემოს დასრულება, სასამართლო

**|| რეალობა ის გახლავთ, რომ ევროკავშირმა ნატო გამოაცხადა ევროკავშირის უსაფრთხოების ქოლგად. ეს იმას ნიშნავს, რომ ნატო განიხილება ევროკავშირის უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმად. თუ დავაკვირდებით, ნატოსა და ევროკავშირის შემადგენლობაში ერთი და იგივე სახელმწიფოებია. რუსეთს, ალბათ, ამიტომ უჩნდება განცდა, რომ ევროკავშირიც ისეთივე საფრთხის შემცველი გაერთიანებაა, როგორც თავად ნატო. არადა, რეალურად, ევროატლანტიკური ორგანიზაციები ნამდვილად არ არიან დაინტერესებული რუსეთის დაშლით**

სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და ასე შემდეგ. საქმე ის გახლავთ, რომ დემოკრატიის დამკვიდრება ცოცხალი პროცესია, არ შეიძლება ამ მიმართებით ერთი ნაბიჯის გადადგმისთანავე ვთქვათ, რომ დემოკრატიის ხარისხს ვაკმაყოფილებთ. გერ კიდევ შორს ვართ სრულყოფილ დემოკრატიამდე, იქამდე ძალიან მნიშვნელოვანი გზა გასავლელი.

**- ევროკავშირი როგორ შეიძლება დაგვეხმაროს ამ მიზნის მიღწევაში?**

- ევროკავშირი თავისი რეკომენდაციებით გვეხმარება ამ გზის გაგლაში. ეტაპობრივად იმეტი გავწვდის რეფორმებისთვის რჩევებს, რომ სახელმწიფოს ერთბაშად სრულიად რეფორმირება შეუძლებელია, ამას არ გვთხოვს, რადგან შესაბამისი ფინანსური, საკადრო და ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა სჭირდება და ევროკავშირიც თანდათან გვაძლევს რეკომენდაციებს, თუ რომელ სფეროში უნდა დავაჩქაროთ რეფორმები ევროკავშირის სტანდარტებთან მისახლოვებლად. ხაზი უნდა გავსვას იმ ფაქტს, რომ „აქტიურობის ქუსლად“ რჩება სეპარატისტული რეგიონები, ოკუპირებული ტერიტორიები. ჩვენ შეიძლება ევროკავშირის ყველა ინსტიტუციონალური მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ, მაგრამ ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ჯერჯერობით მაინც დარჩება ხელის შეშლის ფაქტორად ევროკავშირში გაერთიანების თვალსაზრისით, რადგან ეს ფაქტორი ქვეყანას არასტაბილურობის იმიჯს უქმნის დასავლელი პარტნიორების თვალში. ამიტომ, ხელისუფლების ძალისხმევასთან ერთად, საჭიროა ევროპელი პარტნიორებიც დაგვეხმარონ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში გარკვეული პროგრესის მისაღწე-

ვად, რათა ვთქვათ, რომ ხელისუფლება ჩვენი საერთაშორისო მოკავშირეების მხარდაჭერით დგამს ნაბიჯებს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ევროატლანტიკურ ორგანიზაციებთან ჩვენი დაახლოება შეუწყვედარი გახდეს.

**- კიდევ რა ხელის შეშლის ფაქტორები არსებობს ამ მიმართებით?**

- ძირითადი ხელის შეშლის ფაქტორებია სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, არასტაბილური პოლიტიკური გარემო და, როგორც უკვე ვთქვი, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი... სამწუხაროდ, ამ 32 წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ ვერ შეძლო განვითარებული სახელმწიფოს შექმნა. გვქონდა საბრუნო დენდრო, სუპერსაბრუნო დენდრო მოდელი და ახლა გვაქვს საპარლამენტო რესპუბლიკა და ამ პერიოდის განმავლობაში ვერ შევძელით თუნდაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მსგავსად განვითარება, კერძოდ, მეტი დემოკრატიული უფლებების დამკვიდრება.

**- რას გულისხმობთ?**

- ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ ქვეყნის სუვერენიტეტი, უსაფრთხოების საკითხი პირდაპირ დაკავშირებულია ნატოსა და ევრო-

- არის მოსაზრება, რომ ევროკავშირის წევრი მანამდე ვერ გახდებით, სანამ ნატოში არ გავერთიანდებით.

- საკითხი ასე არ დგას, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ჯერ ნატოში გაერთიანდნენ, შემდეგ კი ევროკავშირში.

**- 30 წელია, საქართველოს ამერიკასა და ევროპასთან აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, ამ პერიოდში რა დახმარება გავცივით?**

- უდავოა, რომ ევროკავშირმა და აშშ-მა სახელმწიფოს განმტკიცებაში სერიოზული დახმარება გავცივით. მათი მხარდაჭერა რომ არა, საქართველოს უამრავი პრობლემა შექმნილიყო. საქართველოს წარმატება დამოკიდებულია ისეთ პროგრესზე, როგორცაა თუნდაც ბალტიისპირეთის ქვეყნები ახორციელებენ. ესაა დემოკრატიული სტანდარტების დანერგვა, ადამიანის უფლებების ყოველმხრივ დაცვა, განსხვავებული შეხედულებების პატივისცემა და კანონის უზენაესობა. ცხადია, რაღაც რეფორმები მტკიცებელი იქნება, მაგრამ მათი შესრულება საქართველოს გადააქცევს ევროპული ტიპის სახელმწიფოდ, დასავლური პრინციპების მქონე სახე-

ლმწიფო თუ ვიქნებით, საქართველოსა და ევროატლანტიკური ორგანიზაციების თანამშრომლობა შეუწყვედარი გახდება.

**- არანაკლებ მნიშვნელოვან გარემოებაზე მსურს თქვენს ყურადღების მიპყრობა - რუსულ პროპაგანდაზე, რომელიც პოსტსაბჭოთა მოსახლეობის ტვინის გამორეცხვითაა დაკავებული.**

- დასავლური საზოგადოება გარკვეულია ყალბი პროპაგანდისტული ინფორმაციის რაობაში. მათ იოლად ვერ მოატყუებ, მაგრამ ეს იარაღი ჯერჯერობით ჭრის პოსტსაბჭოთა სივრცეში. სამწუხაროდ, ყველას არ აქვს გააზრებული, როგორ შეიძლება ავნოს რუსულმა პროპაგანდამ საქართველოს. ამას ემატება მოსახლეობის ნაწილის სკეპტიციზმი დასავლეთისადმი მცოცავ ოკუპაციასთან, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების ხანგრძლივ მოლოდინებთან დაკავშირებით... სწორედ ამ მიმართებით აქტიურობს რუსული პროპაგანდისტული მანქანა, რომლის ამოცანა სიმართლის გარკვევა კი არ არის, არამედ პოლიტიკურ მიზანს ემსახურება. ეს მიზანია საქართველოში პრორუსული დისკურსის გაძლიერება, ანუ ევროპული ფასეულობების ნიველირება, იმაზე საუბარი, რომ თითქმის ევროპა გარყვნილია, რუსეთი კი ერთმორწმუნე, რაც ძალზე მცდარი შეხედულებაა.

**- დაბოლოს, ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია ჩვენთვის რამდენად მნიშვნელოვანია?**

- ცხადია, ორი აზრი არ არსებობს, რომ თუ ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაცია მოხდება, ეს პროგრესული მოვლენა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან ეს საქართველოს განვითარებას ყოველმხრივ დააჩქარებს.

# „მკაფიოდ გაეცა ხაზი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ბორღერიზაციის პროცესის უკანონოებას“

იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ 9 აპრილს საქართველოს მოსახლეობას სტრასბურგის გადაწყვეტილების შესახებ აცნო. მისი განცხადებით, საქართველოს გამარჯვებით, ოფიციალურად დასრულდა კიდევ ერთი ისტორიული ბრძოლა „მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ყველა ქართველს, საქართველოს ყველა პატივს მიაგულოცო ეს გამარჯვება, რომელიც დღეს დასრულდა საქართველოს ძალიან დიდი გამარჯვებით. დღევანდელი გადაწყვეტილებით, მკაფიოდ გაე-



ვა ხაზი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე, ბორღერიზაციის პროცესის უკანონოებას და კონვენციასთან შესაბამისად გამოცხადდა დე ფაქტო ორგანიზაციის მიერ დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა. აგრეთვე დადგინდა, რომ სისტემატურად ირღვევა სიცოცხლის უფლება, წამების და არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება, საკუთრების უფლება და ასევე, გადაადგილების თავისუფლება. რა თქმა უნდა, დღევანდელ გამარჯვე-

ბას სტრასბურგის სასამართლოში ჰყავს თავისი ძალიან ბევრი გმირი. მე მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს ყველა თანამშრომელს, რომელიც უშუალოდ ჩართული იყო ამ საქმეში“. - განაცხადა ბრეგაძემ. მიიხვე ინფორმაცია, რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლო უკვე აღარ იღებს სარჩილებს იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთი უკვე აღარ არის ევროსაბჭოს წევრი. „ერთიან, ჩვენ თვითონ ვიცოდეთ, რომ მართლაც ვართ, მაგრამ მეორეა, სწორედ ამ სიმართლით



# მასთან საუბარი გვასხივებს, რომ სისხლი ტყუილზურალოდ არ დაღვრილა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

1989 წლის 9 აპრილი ტრაგიკულ დღედ ჩაიწერა მრავალტანჯული ქართველი ერის ისტორიაში. მაშინ გამოჩნდა ჩვენი სახლის დამოკიდებულება ეროვნული ღირებულებებისადმი, რომლის სადაცებთან სულმნათი მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია იდგნენ

35 წელი ქართული სახელმწიფოებრიობის 27-საუკუნოვანი ისტორიისთვის დიდი არაფერია, მაგრამ დროის ამ მონაკვეთში ქვეყანამ მრავალ განსაცდელს გაუძლო და თანამედროვე, ცივილიზებულ სამყაროში საპატიო ადგილის დამკვიდრებისთვის იბრძვის. სისხლიანი 9 აპრილის მონაწილეთა შორის იყო მედიცინის საქვეყნოდ ცნობილი მუშაკი, შუახვევის რაიონის სოფელ დარჩიძეების მკვიდრი რამაზ სურმანიძე. მასთან საუბარი ერთხელ კიდევ გვახსენებს იმ დროს მიმდინარე პროცესებს და მათ, ვინც მაშინდელი მოვლენების სულისჩამდგმელები იყვნენ.

- ბატონო რამაზ, 35 წლის შემდეგაც კი არ გასულა ტკივილი უმანკო მსხვერპლთა გამო, მაგრამ მათი წმინდა სისხლი ტყუილზურალოდ არ დაღვრილა, იგი საქართველოს ერთიანობის, ეროვნული სიმტკიცის წინაპირობად იქცა. მოვლენების უშუალო მონაწილე ამ თარიღს როგორ აფასებთ?

- 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს ისტორიაში ახალი, ტრაგიკული ფურცელი ჩაიწერა. საბჭოურმა რეჟიმმა სრულიად უდანაშაულო ადამიანები შეიწირა. მოკლულებს შორის იყვნენ სკოლის მოსწავლეები, ჩემი თაობის ადამიანები. 35 წლის წინათ, ამ დღეს, მე და ჩემი მეგობრებიც ვიდევით რუსთაველის პროსპექტზე, რადგან გვწამდა, რომ იქ ყოფნა იყო გადამწყვეტი და ძალიან მნიშვნელოვანი თავისუფლებისა და ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. 1989 წლის 9 აპრილს მოჰყვა 1991 წლის 9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღება. ეს არის მაგალითი იმისა, რომ ბრძოლა ყოველთვის ღირს, თუ ის ღირსეული და ქვეყნის ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისკენ არის მიმართული. ზუსტად ასეთმა სულისკვეთებამ და ბრძოლებმა გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა საუკუნების განმავლობაში. დღესაც ასეთი შემართება, ერთიანობა და ერთი მიზნისთვის ბრძოლაა საჭირო, რათა გავაერთიანოთ ჩვენი ქვეყანა, დავებრუნოთ და შევინარჩუნოთ ჩვენივე სისხლით მოპოვებული დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

- 9 აპრილს ისტორიული წინაპირობები ჰქონდა...

- რა თქმა უნდა. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჯერ კიდევ წინა საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო, როცა გაჩნდა დისიდენტური მოძრაობები საქართველოში და 1974 წელს ჩამოყალიბდა „შელსინგის კავშირი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. ისინი არა მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვას, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაციას ცდილობდნენ. 1978 წელს გაიმართა ფართომასშტაბიანი დემონსტრაცია ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დასაცავად. ეს დღე მე ბუნდოვნად მახსოვს, მაშინ მე-7 კლასის მოსწავლე ვიყავი. ისიც ნათელია, საბჭოთა იმპერიული საავტორიტარი მანქანა როგორ აშუქებდა ასეთ მოვლენებს. 1988 წლიდან აქტიურად ჩავერთე ეროვნულ მოძრაობაში ჩემს თანასოფელ მეგობრებთან ერთად. მაშინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი ვახლდი. თებერვალში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა უნივერსიტეტის პრესკლუბი, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრი ჩემი ბიძაშვილი, უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი აწ განსვენებული ოთარ სურმანიძე იყო. მან ითამაშა ყველაზე დიდი როლი ჩვენი მეგობრების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩასაბმელად. პირველი მიტინგი, რომელშიც მე და ოთარი გმონაწილეობდით, 1988 წლის 14 აპრილს გაიმართა მერაბ კოსტავას სახლის წინ, მოედანზე, „ზემელზე“ და სულ რაღაც 300-მდე მონაწილე ვიყავით. მიტინგი 20 წუთს გაგრძელდა, შემდეგ კი ამოქმედდა საბჭოთა მანქანა, დაგვარბიეს და 78 ადამიანი დაიჭირეს, მათ შორის მერაბ



კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე, რომლებიც მიტინგს უძღვებოდნენ. მე და ოთარი შემთხვევით გადავურჩით დაჭერას. ჩვენ სასწრაფოდ უნივერსიტეტში წავიდით. მე ეზოში ველოდებოდი. დღის 13 საათი იყო, ოთარი შევიდა

## დაბრუნების დროს ჩვენ მხატვრის სახლის მხარეს გადავინაცვლეთ, შევანგრიეთ დარბაზის კარები და დავიწყეთ ქალების და დაშავებული ადამიანების შეყვანა მხატვრის სახლის დარბაზში და ოთახებში, მაგრამ ჯალათები იქაც შემოვიდნენ და დაიწყეს ჩვენი დაბრუნება. ამ დროს ვიღაცამ შენობის უკან კედელი შემოანგრია თვითმცლელი სატვირთო მანქანის ძარით და იქიდან გავიყვანეთ ქალები და დაშავებული ადამიანები. მეც დამჭრეს ორღესული ნიჩბით მუხლში

შენობაში და დაახლოებით 20 წუთში 1500-მდე სტუდენტი ქუჩაში გამოვიდა. გავემართეთ მთავრობის სახლისკენ, გზადაგზა შემოგვიერთდა უამრავი ადამიანი. უნივერსიტეტიდან ოპერამდე ტროტუარებში მივედით, შემდეგ კი რუსთაველის გამზირით მსვლელობა გავაგრძელეთ, მაგრამ მთავრობის სახლამდე არ მივსულვართ - სასტუმრო „თბილისთან“ გზა გადავიკეტა მილიციის კორდონმა. იქ მოვიდა ზვიად გამსახურდია და ძალიან მძაფრი საუბარი ჰქონდა მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრ შოთა გორგოძესთან, რომელსაც იმ შეხვედრის შემდეგ ზედმეტსახელად „პაჟალუსტა მინისტრი“ შეარქვეს. მოლაპარაკების შემდეგ საპროტესტო აქცია ჟურნალისტთა სახლთან გვიან საღამომდე გაგრძელდა, შედეგად კი ყველა მომიტინგე გაათავისუფლეს. ეს დღე იყო გარდამტეხი - დავინახე, ბრძოლას როგორ მოაქვს შედეგი, ასევე, ქართველი ხალხის სურვილი და მისწრაფება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისკენ, რამაც საბოლოოდ დაამარცხდა ჩემში შიშის სინდრომი და მომეცა საშუალება, უფრო აქტიურად მებრძოლა. მარტო 1988 წელს 30-მდე მიტინგი და დემონსტრაცია გაიმართა, რომელთაგან მხოლოდ 4 იყო ოფიციალურად სანქცირებული, მათ შორის ყველაზე მასშტაბური მანიფესტაციები 23-29 ნოემბერს იყო. ქართველი ხალხის აქტიურობამ იძულებული გახადა ხელი-სუფლები, საზოგადოების მოთხოვნა დაემყვინებინა. ეს იყო გარდამტეხი მომენტი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. მას მოჰყვა 1989 წლის 4-9 აპრილის აქციები, მიტინგი 5 დღე-ღამე გაგრძელდა. ახალგაზრდების დიდმა ჯგუფმა შიმშილობა გამოაცხადა. რუსთაველის პროსპექტი გადაიკეტა და დაიწყო საგაფიცო მოძრაობა. 9 აპრილს, დამის 4 საათზე საბჭოთა ჯალათებმა მუხთავი აირის, ორღესული ნიჩბებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაარბია თბილისში, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მშვიდობიანი საპროტესტო აქცია. ამ დროს მე, ტარეილ ფუტკარაძე, ოთარ სურმანიძე, თამაზ ჩაველიშვილი და სერგო სურმანიძე ერთად ვიდევით, ჩემი თანასოფელი, აწ განსვენებული თემურ ცეცხლაძე კი სამედიცინო ინსტიტუტის წინ მიმდინარე აქციაზე იმყოფებოდა როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი. დაბრუნების დროს ჩვენ მხატვრის სახლის მხარეს გადავინაცვლეთ, შევანგრიეთ დარბაზის კარები და დავიწყეთ ქალების და დაშავებული ადამიანების შეყვანა მხატვრის

სახლის დარბაზში და ოთახებში, მაგრამ ჯალათები იქაც შემოვიდნენ და დაიწყეს ჩვენი დაბრუნება. ამ დროს ვიღაცამ შენობის უკან კედელი შემოანგრია თვითმცლელი სატვირთო მანქანის ძარით და იქიდან გავიყვანეთ ქალები და დაშავებული ადამიანები. მეც დამჭრეს ორღესული ნიჩბით მუხლში.

- თანასოფელ თემურ ცეცხლაძის, ოთარ სურმანიძისა და დამოუკიდებლობის აქტიურ ხელმძღვანელ ტარეილ ფუტკარაძის მსგავსად, ურთიერთობები გქონდათ მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიასთან. ოთხეულიდან წუთისოფელს მხოლოდ თქვენ შემოძრით... რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბის გახსენება კარგი იქნებოდა...

- ჩემი და თემურ ცეცხლაძის ეროვნულ მოძრაობაში ჩართვაში დიდი როლი ითამაშა ოთარ სურმანიძემ. 1988 წლის თებერვალი იყო, დამის 11 საათზე ოთარი მოვიდა ჩვენთან (მე და თემური ერთად ვცხოვრობდით) და დიდი კამათისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, ტაქსით წაგვიყვანა მერაბ კოსტავასთან ბინაში. იქ ვნახე პირველად სულმნათი მერაბი. ნახევარსაათიანი საუბრის შემდეგ მივხვდი, თუ როგორ სიცრუეში ვცხოვრობდით, მივხვდი, რომ უფრო ღრმად უნდა მესწავლა საქართველოს ჰუმანიტური ისტორია. მან გადმოგვცა უფრო ახალი „საქართველოს მოამბის“ და გაზეთ „საქართველოს ქრონიკის“ რამდენიმე ნომერი და გვთხოვა, მეგობ-

რად წარმოჩინებოდა.

- კიდევ მრავალი ღირსეული პიროვნების საქმე და სახელია მივიწყებული. რაა საჭირო მათ წარმოსაჩინად?

- იმედია, დადგება დრო, როცა ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, ყველა ღირსეული ქართველის საქმე და სახელი (რა თქმა უნდა, მათ შორის ოთარ სურმანიძის) ამოტივტივდება და ჩაიწერება ჩვენს ისტორიაში.

- სამედიცინო ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, მშობლიურ კუთხეში სამუშაოდ წამოხვედით. დაწყებული ურთიერთობები როგორ გაგრძელდა?

- ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ჩემი პოლიტიკური ცხოვრება პროფესიულმა საქმიანობამ ჩაანაცვლა. რა თქმა უნდა, მეგობრებთან ურთიერთობები გრძელდება. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი მეგობარი გამომაკლდა.

- 30 წელზე მეტია, პროფესიით საქმიანობთ. დარჩიძეების სურმანიძეების გვარში რამდენიმე წარმატებული ექიმი ხართ...

- ჩვენი განათლება, პირველ რიგში, მშობლების და იმ სკოლის პედაგოგების (დარჩიძეების საშუალო სკოლა) დამსახურებაა, სადაც ვსწავლობდით. იმ დროს, ჩვენი სკოლის 16 კურსდამთავრებული თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ვეუფლებოდით განათლებას. ის, რომ ორივე ძმა

ეკიმი ვართ, მამის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა შუბნის საუბნო საავადმყოფოში მძლოლად დიდებულ ადამიანთან, დიმიტრი



სიებს. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა მერაბ კოსტავასთან. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიასთან ჩემს ურთიერთობას, მხოლოდ ერთხელ შეხვედრი პირისპირ კოლხურ კოშკში, იქაც ოთარმა მიმიყვანა. ოთარი კოლხური კოშკის ხშირი სტუმარი იყო და ბევრი ღამეც აქვს გათენებული იქ.

- თემურ ცეცხლაძის სახელს ატარებს დარჩიძეების საჯარო სკოლა, ტარეილ ფუტკარაძისს - შუბნის. რატომ არ წარმოჩნდა ოთარ სურმანიძის („სტალინის შვილი“) დამსახურება?

- თემურ ცეცხლაძემ და ტარეილ ფუტკარაძემ სკოლა მშობლიურ კუთხეში დაამთავრეს. პატრიოტები და მარტების ხეობის გამორჩეული ადამიანები იყვნენ, რომლებმაც მოკლე წუთისოფელი მართეს დიდი სიკეთე და სიყვარული დათესეს, ერთგულად ემსახურებოდნენ თავის კუთხეს და ხალხს. ამიტომაც წარმოჩნდა მათი სახელები მშობლიურ სოფლებში, ოთარ სურმანიძემ კი სკოლა (კომაროვის) თბილისში დაამთავრა და იმავე წელს სწავლა გააგრძელა უნივერსიტეტში. ვფიქრობ, მოვა დრო, ოთარ სურმანიძის დამსახურება და წვლილი აუცილებ-

ცეცხლაძესთან, რომელიც ჩვენი თაობისთვის კაცობის, მეგობრობის, პროფესიონალიზმის ეტალონი იყო და არის.

- ეროვნულ მოძრაობაში ჩართულმა პიროვნებამ საზოგადოებას საინტერესო წარსული აქამდე რატომ არ გავაცანით?

- 1990 წლიდან ჩემი პოლიტიკური ცხოვრება შეიცვალა და 33 წელია ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე ვდგავარ. ასე მინდა გავატარო ჩემი დარჩენილი ცხოვრება. ვფიქრობ, ეს არის ჩემი ეროვნული მოძრაობაც და მოღვაწეობაც, რადგან ჩემი პროფესიით შემიძლია მოვუტანო ყველაზე მეტი სიკეთე ხალხს და სამშობლოს.

- საინტერესო და შინაარსიანი წარსულის გაგრძელებაა სიყვარული და სიკეთე და ფუძნებული ოჯახის წინამძღოლობა...

- ოჯახი 1993 წელს შევქმენი. მეუღლე დალი მახარაძე სხალთა-ხინანის ხეობის ერთი გამორჩეული ოჯახის შვილია, ვინც ძალიან მყარად ამიბა მხარი და დღემდე სიყვარულითა და პატივისცემით, ერთად ვემსახურებით ოჯახს და ქვეყანას. გვყავს ორი შვილი (ქალ-ვაჟი) და ორი შვილიშვილი. მომავლის იმედით ვცხოვრობთ და ვცოცხლობთ.



# ვახტანგ დლონი: ნუ დაიდლებით სამშობლოს ერთბუღებით

ნანა აბულაძე 577 20 35 90

1990 წლიდან, ყოველ 14 აპრილს, საქართველოში დღეების დღე აღინიშნება. ამ დღის დაწესება 1978 წელს განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება, როდესაც საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, გაუქმების შესახებ. ამ გადაწყვეტილებას მასობრივი გამოსვლებითა და აქციებით წინ აღუდგა ქართველი ხალხი და, პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, ხელისუფლება იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო



შიძელბოლა საქართველო მართლად დაეკარგა, ძველი და ახალი „ცოდვებისთვის“ ერთად მოეთხოვა პასუხი.

ქართული ენის დამცველთა რიგებში იდგა ბათუმელი პოეტი **ვახტანგ დლონი**, რომელიც გაზეთ „აქარასთან“ მასინდელ მოვლენებზე საუბრობს.

- **ვახტანგ დლონი**, როგორ გაიხსენებთ 1978 წელს განვითარებულ მოვლენებს?

- მიჭირს ამ თემაზე საუბარი, ჩემი ერთი, იმიტომ, რომ ბევრჯერ მიქვამს უკვე... მეორეც - იმიტომ, რომ წყალი არაერთხელ დაუბრუნდა ნაგუბარს... ომით დაცული დედენა მშვიდობაში გაისვარა, გაირყვნა და ამაში ყველანი ვცოდავთ - უზრუნველყოფის, მწერლების და უბრალო ხალხის... მაქვს სერიოზული ეჭვი და უკვე ასჯერ გადამოწმებული, რომ ყოველდღიური და ხანგრძლივი ბრძოლისთვის ჩვენი ბუნება ან მზად არაა, ან ძალიან გადაღლილია. ჩვენ „ხანმოკლე აფეთქებების“ ხალხი ვართ. რა ვიცი, იქნებ ჩემი დალოლი ასაკიდან მეჩვენება ასე... რუსეთმა მაშინ იმიტომ დაიხია უკან, რომ რკინის ხელი ვეღარ იყო ისე მტკიცე, როგორც ადრე. ამასთან, დრო მოივო, რათა თერთმეტი წლის შემდეგ (1989 წლის 9 აპრილს), როცა მოეჩვენა, რომ

- როგორც ცნობილია, საბრტესტო ტალღას ბათუმშიც შეუერთდა, როცა 1978 წლის 25 მაისს აჭარის ასს რესპუბლიკის კონსტიტუცია უნდა დაემტკიცებინათ, რომლიდანაც ასევე გამქრალი იყო მუხლი ქართული ენის შესახებ. ქართული ენის დასაცავად მოწინავე რიგებში იდევით. რას განიცდიდით მაშინ?

- ამაზეც ბევრჯერ მიქვამს... მოგებულ ომს იმდენი გმირი გამოუჩნდება ხოლმე, სურვილი გეკარგება, ლამის „სიკვდილის წინ“ ახლობელთა ისედაც შეთხვეული წრე „სიმართლის დალაგებაში“ დაკარგო და სამუდამოდ მოიძურო... ყოველთვის ასე ხდება, აუცილებლად გამოჩნდება ვიღაც, სხვაზე მეტს რომ იღებს თავზე და ვისაც მიჰყვება ხოლმე ხალხი. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა - პირველი გამოვედი და დავდექი მოე-

დანზე მარტო, ნელ-ნელა გამოვიდნენ სხვებიც (ცოტანი), რა თქმა უნდა. იქვე - ხესთან ჩემი უახლოესი ქალაქელი მეგობრებიც იდგნენ, სტუდენტებს რომ უნდა შემოერთებოდნენ, როგორც წინააღმდეგო-ლაპარაკეთ ჩემთან სახლში... თუმცა მანამდე იყო სხვა, უფრო კულტურული მოძრაობები - მთავრობასთან გაგზავნილი წერილი და მაღალჩინოსნებთან შეხვედრები. მათ სწორად ვერ შეაფასეს სტუდენტთა მოთხოვნები, რომლებიც შემდგომ მრავალთაობის საყოველთაო საბრტესტო მიტინგში გადაიხარდა. ეს იყო 26 მაისი და სწორედ ამ დღეს იღებდა აჭარა თავის კონსტიტუციას, როგორც ავტონომიური წარმონაქმნი. თბილისში ეს მანამდე - 14 აპრილს მოხდა, როცა საქართველო თავის კონსტიტუციას იღებდა. ამ საქმეში ჩვენთან ერთად

იყო არაერთი დამსახურებული პატრიოტი, თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბევრი თვითმარქვიაც შეუერთდა წლების შემდეგ, ეტყობა, ადამიანებს სხვაგვარად არ შეუძლიათ.

- **ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ დღეს ქართულ ენას ხშირად ამახინჯებენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ქართულში უცხოური სიტყვების შეყვანაა. როგორ შეაფასებთ ამას?**

- გახსოვთ, ალბათ, ილიასეული ტრიადა - „მამული, ენა, სარწმუნოება“. არაერთხელ ყოფილა, რომ სამთავან ერთს ეკარგავდით და დარჩენილი ორი ითავებდა მესამის ფუნქციას, ხანდახან გადარჩენილი ერთი ცდილობდა სამივეს შენახვა-პატრონობას, დღეს კი ყოველი მხრიდან გვიტევენ და გვიჭირს. გვიტევენ მოშიებული ქართველების

ხელით, რომლებიც გაჭირვებული სამშობლოს ნაცვლად, სხვათა სამშობლოების „შემოწირულობებით“ ძღვენიან, რომელიც თითქმის არასოდეს ან იშვიათადაა უანგარო. ჩვენ მთავარი საზრუნავი კალენდარს გადავებარეთ და მხოლოდ წელიწადში ერთხელ ვიხსენებთ ენას, მერე სხვა დღეების „საზრუნავ-საზიზღავ“ გავიტაცებენ და დაგვავიწყებენ ხოლმე მომავალი ასეთი დღის დადგომამდე... ჩერჩვობით, კალენდარული დღეებიც გვყოფნის და სახეიმი და საგლოვი თარიღებიც, ხანდახან ერთი დღე რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბითაა აღსანიშნავი...

- **ბატონო ვახტანგ, დღეების დღეს რა გზავნილი გაქვთ მოსახლეობისადმი?**

- მინდა, მოვუწოდო საქართველოს, განსაკუთრებით - ახალგაზრდებს: ნუ დაიღლებით სამშობლოს ერთგულებით, საქმით გამობატული ერთგულებით და არა ღვინოში სადღეგრძელოს მიმსგავსებული ენაწყლიანობით.



ბათუმი, 1978 წლის 26 მაისი, ლენინის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანი

## „ჯანსაღი ოპონირების ნაცვლად, ოპოზიციის დესტრუქციულობა სახეა და საზოგადოება ამას ხედავს“

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი **ილია შირაძე** „ქართული ოცნებიდან“ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტს, რომლის ინიცირებაც მმართველი პარტია რამდენიმე დღეში აპირებს, ასე ეხმაურება:



„პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ როდესაც ერთი წლის წინ ამ კანონის „რუსულად“ მონათვლის შედეგად მოახერხეს მოსახლეობის ნაწილის შეცდომაში შეყვანა, სიტუაციის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული და ჩვენ მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტი გავიწვიეთ. ამის ერთ-ერთი საფუძველი არასამთავრობო ორგანიზაციების პირობა იყო. ამ პირობის თანახმად, მათ არაფერი ჰქონდათ დასამალი და თავისი ხარჭების გამჭვირვალობას თავადვე უზრუნველყოფდნენ. ერთი წლის წინ საქმე გვქონდა შემდეგთან: პირველი - შევაჩერეთ რადიკალური ოპოზიციის დღის წესრიგით გათვალისწინებული ქვეყნის არევის მცდელობა. მოსახლეობას კარგად ახსოვს, როგორ იყვნენ დღის იმის ნებისმიერი მიზეზს ქვეყნის ასარეგად, იქნებოდა ეს ტრაგედია თუ მათივე შეთხვეული სხვა პრობლემა: მეორე - კიდევ ერთხელ მივეცით საშუალება არასამთავრობო ორგანიზაციას იმ ნაწილს, რომელთა საქმიანობა და ფინანსური ნაკადები ეჭვს იწვევდა. შეესრულებინათ დანაბირები და გამოექვეყნებინათ ინფორმაცია თავიანთი ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მივიღეთ უტიფარი იგნორირება და დანაპირების შეუსრულებლობა. ის, რომ კანონის რუსულად არაფერი აქვს ისართო, საზოგადოებამ უკვე იცის. ყველაზე ზომიერი ოპონენტები, აცნობიერებენ რა იმას, რომ რუსული იარაღი აღარ მუშაობს, პირდაპირი

გაგებით ცდილობენ აქციონტი კანონის სულს-სკვთებზე გააკეთონ. რასთან გვაქვს საქმე? მომავალ აქციონტებს გვედავებიათ? კანონში მკაფიოდაა გაწერილი, ვის არ ეხება მისი მოქმედება და რა სახის ინფორმაცია უნდა საუბარი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კანონები მუდმივად მიიღება და იხვეწება ქვეყანაში არსებული გამოწვევების კვლად-კვალ. ეს ყველა ქვეყანაში ასეა. ყველა კანონს აქვს სათაური და თავისი ტერმინები. ეს იარაღი არ არის. სხვადასხვაგვარად შეიძლება აღნიშნოს სუბიექტი და ნორმა, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე. შეიძლება მოძრაობის წესები არ დავაწესოთ, ყველამ ხომ

იცის, როგორ უნდა იაროს. ვხედავთ, რომ ეს კანონი მუდმივად იხვეწება. შეიძლება ანგარიშვაქტურები გავაუქმოთ, გადარცხვებით ხომ ყველაფერი ჩანს? რეალურად, არც იარაღი პირობდება და არც დამატებითი გამჭვირვალობა. აქ მიზეზზეა საუბარი. მის პოვნაზე, მის გამოვლენაზე. ჩვენს შემთხვევაში პროტესტი ჰიპოტეტურ „გამოყენებაზე“ დაფუძნებული. თუ წინასწარ ჩაფიქრებული ცუდი განზრახვა არ გაქვს, შიდა რეგულაციების შემოღების გამო (ასეთია არასამთავრობო სექტორისთვის დეკლარაციების წარდგინის ვალდებულებით საზოგადოებისთვის მეთი ინფორმაციის მიწოდება და, შესაბამისად, მეთი გამჭვირვალობა), ყალბი აუიოტაჟით შეცდომაში რისთვის შეგყავს უცხოელი პარტნიორი და მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები?

ფორმულა მარტივია: თუ კანონი ამოქმედდება, განვითარების პროცესი შენელებო, ამბობენ იმ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლის დროს არ გვქონდა ევროპული პერსპექტივა (თუნდაც მათივე მიღებული შრომის კოდექსის გამო), არ გვქონდა თავისუფალი მედია, არც ბიზნესი იყო თავისუფალი (ტილვეიზიებში შეგარდნა და წილების დამით გადაფორმება). ასევე, მუდმივად ირდევოდა ადამიანის უფლებები. ადამიანი არ იყო დაცული არც უფლებრივად და არც ფიზიკურად. სიღარიბის ზღვარს მიღმა იყო სამკერ მეთი ადამიანი და ეკონომიკა იყო ოთხჯერ უფრო სუსტი. ყველაფერს ამას ეუბნებიან ხელისუფლებას, რომლის დროსაც ეკონომიკა გაიზარდა, ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმება გაფორმდა, შედეგად კი ვიზალიზირებულია და კანდიდატის სტატუსი მივიღეთ. ყველა მონაცემი უმჯობესდება საერთაშორისო ინსტიტუტების კვლევების მიხედვით. ამ ფონზე ოპოზიციის ცდი-

ლობს, დაარწმუნოს ხალხი, რომ აი, ახლა, ამ კანონის მიღების შემთხვევაში, თითქოს მომავალში, წლების შემდეგ (რადგან კანონის ამოქმედებიდან ყველა შემთხვევაში წლები უნდა გავიდეს, მისი მოქმედების გაზომვა შესაძლებელი რომ გახდეს) რაღაც გავფუძვება და ამიტომ ახლავე უნდა ავრიოთ ქვეყანა?! პირდაპირ მოუწოდებენ ხალხს ქუჩისკენ.

ყველა კანონით, რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში ქვეყანამ მიიღო, ჩვენ ვუახლოვდებოდით და ვუახლოვდებით მსოფლიოს ცივილიზებულ საზოგადოებას და განვითარებულ ქვეყნებს, ყველა ქმედება იყო და არის მიმართული ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ: ყველა საერთაშორისო აქტივობა მაღალ შეფასებებს იღებდა და იღებს საერთაშორისო ინსტიტუტების შეფასებით (საერთაშორისო მისიები, საკანონმდებლო ბაზის თავსებადობა ევროპულთან, კონსტიტუცია და სხვა) ქვეყნის დაბალანსებული საერთაშორისო პოლიტიკა არის რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების ერთ-ერთი გარანტი.

რასთან გვაქვს საქმე? სხვა ყველა მიმართულებით აბსოლუტური მარცხის გამო ოპოზიციის თვლის, რომ კანონის „რუსულად“ გამოცხადება არის არჩევნებისთვის რაღაც არეულობის ორგანიზების ერთადერთი შანსი. ამის შედეგად რამდენიმე პროცენტის მომატების მოლოდინი აქვთ. ეს განზრახვა არის ქვეყნის და ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო. ის არ იმუშავებს, რადგან ეს ბანქოც გაცვეთილია. ნაცვლად ჯანსაღი ოპონირებისა, გამჭვირვალობის მხარდაჭერისა და საერთაშორისო ასპარეზზე ერთიანი პოზიციის დაფიქსირებისა, მათი დესტრუქციულობა სახეა და საზოგადოება ამას ხედავს!



# 9 აპრილის მონაწილანი გაიხსენეს, პატივი მიაგეს

ოთარ ცინცაძე 599 85 21 14

1989 წლის 9 აპრილი, ტრაგიკულ დღედ ჩაიწერა მრავალტანჯული ქართველი ერის ისტორიაში. ამ დღემ დაგვანახა ქართველი ხალხის დამოკიდებულება ეროვნული ღირებულებებისადმი... 35 წელი გავიდა მას შემდეგ. სისხლიანი 9 აპრილი მთიანი რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში გაიხსენეს

9 აპრილის სკვერში ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე, მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ადგილობრივი თვითმმართველობის, საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ და მემორიალი ტიტებითა და გვირგვინებით შეამკეს.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი სხალთის ეპარქიის დეკანოზმა ევდემოზ ალელიშვილმა და დეკანოზმა ბართლომე ჩხიკვაძემ გადაიხადეს.

საგალობლები ქედის კულტურის ცენტრთან არსებულმა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ეელსამ“ შეასრულა.



მდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ ესაუბრნენ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მერის მოადგილე გურამ ზოიძემ, პოეტმა ფრიდონ დავითაძემ, პუბლიცისტმა ოთარ ცინცაძემ.

9 აპრილს დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი სხალთის ეპარქიის დეკანოზმა იოანე ჩხუბაძემ გადაიხადა.

- ეს დღე კიდევ ერთხელ გვახსენებს იმ განსაცდელს, რომელიც წლების განმავლობაში გამოვიარეთ, - გვითხრა ომარ ტაკიძემ, - ყოველწლიურად გვიკრებებთ 9 აპრილს, პატივს მივაგებთ გარდაცვლილების სსოვნას, მადლიერების გრძობით ვიხსენებთ სახელოვან ადამიანებს, რომლებმაც 9 აპრილისა და მომდევნო წლების ისტორია დაწერეს...

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შედეგად დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს ხულოში.

ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკო.

დაღუპულთა სსოვნას ასევე პატივი მიაგეს საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა ანზორ ბოლქვაძემ, საკრებულოსა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

დაღუპულთა სსოვნას ასევე პატივი მიაგეს საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა ანზორ ბოლქვაძემ, საკრებულოსა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

# მუსლიმები რამადან-ბაირამს აღნიშნავენ

ცოტნე ცაგარე 27 48 94

ისლამის მიმდევრები 10-12 აპრილს ერთ-ერთ უდიდეს დღესასწაულს - რამადან-ბაირამს აღნიშნავენ. 10 აპრილს, შუის ამოსვლამდე, ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების მოქმედ მეჩეთებში ლოცვები აღევლინა

მრევლის სიჭარბე იყო ხულოს მუნიციპალიტეტის ლორჯომის, ოქრუაშვილების, დეკანოზების, ხიხაძის, დიოქნისის, ყინაურის მეჩეთებში. ლოცვის რიტუალის დასრულების შემდეგ, მორწმუნეებს ბაირამი მიულოცეს ქვეყნისა და აჭარის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების, ხულოს თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

წინაურის მეჩეთებში. ლოცვის რიტუალის დასრულების შემდეგ, მორწმუნეებს ბაირამი მიულოცეს ქვეყნისა და აჭარის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების, ხულოს თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.



შუახევის მუნიციპალიტეტის 40-მდე მოქმედ მეჩეთში მივიდნენ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების თანამშრომლები. მრევლს ვერ იტყვია ჭვანის, ნიგაზეულის, ფურტიოს, ხაბელაშვილების, ჭალის, ბუთურაულის მეჩეთები. ლოცვის დაწყებამდე ჭვანის მეჩეთში მივიდნენ მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერის მოადგილე გურამ ზოიძე და მომლოცველებს მარხვის დასრულება მიულოცეს, მრწამსისადმი ერთგულება უსურვეს. ლოცვის დასრულების შემდეგ ისინი ნიგაზეულში მივიდნენ, სადაც მათ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე შეუერთდა. მუსლიმებს რამადან-ბაირამს ფურტიოსა და ბუთურაულშიც მიულოცეს.

- ყველა მორწმუნეს ამ დღეს გულოცავ, - თქვა ნიგაზეულელებთან მისულომ ომარ ტაკიძემ, - ჩვენი ვალია, ყველა აღმსარებლობის ადამიანებთან გვქონდეს საქმიანი ურთიერთობა. რაც მთავარია, ისინი ერთმანეთთან მეგობრულ დამოკიდებულებაში არიან და ასე გაგრძელდება. ჩვენთან მრავლად არის ოჯახები, სადაც ქრისტიანები და მუსლიმები ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ.

ქედის მუნიციპალიტეტში მრევლის სიჭარბე აღარ იგრძნობა, მაგრამ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები მომლოცველებს ყურადღების გარეშე მაინც არ ტოვებენ. ისინი რამდენიმე მეჩეთში მივიდნენ და მუსლიმებს ბაირამი მიულოცეს.

## სტუმარი

# „ვსდროვ, უფრო მეტი სიტუო და სიყვარული გავსა“

ლაშა ხოშიაძე 593 50 82 69

პირველად მირანდა მრისთაშის ლექსებს უყრნა „ჭოროხში“ გავცანი, მერე ინტერნეტისგან გავიხსენებდი და დავრწმუნდი, რომ მკითხველის წინაშე სრულიად ახალი, საინტერესო პოეტური სახელი გამოიკვეთა. ამდენად, გამიხარდა, როცა შევტყვევდი, რომ წელს ლიტერატურულ კონკურს „საბას“ მონაწილეთა შორისაა. პოეტი მირანდა ერისთავი ლექსების კრებულის „ამოსუნთქვამდე“ დებიუტანტებშია წარდგენილი



ლიტერატურულ წრეებსა და ჯგუფებში, პოეზიის მოყვარულებში მირანდა ერისთავი კარგადაა ცნობილი, ყურადღებას იპყრობს ტექსტების სისადავითა და სიღრმით, თავისუფალი აზროვნებით. ის გაბედულად საუბრობს ტაბუდადებულ თემებზე, პრობლემებზე, გამოირჩევა მრავალმხრივი ინტერესით. პროფესიით ფიზიკოსის და მოწოდებით პოეტის მაძიებელი სულით დანახული და აღქ

მული სამყარო, რეალობა ჩვენ წინაშე ორიგინალური სახისმეტყველებით ცოცხლდება. სათქმელია ისიც, რომ მირანდა სრულყოფილად ფლობს ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებს, უცხოელი კლასიკოსებისა

და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებს დედანში კითხულობს.

ინტელექტითა და ერუდიციით გამორჩეული ამ ქალბატონის პორტრეტს უფრო სრულყოფილად წარმოაჩინეს ყველაზე დიდი წოდება - დედა. ის სამ შვილს ზრდის სასიყვარულით და სიყვარულით. საუკეთესო დედა, სახელოვანი მშობლების უკარგესი შვილი, უნიჭიერესი ადამიანი და საყურადღებო პოეტი - ასე ახასიათებენ მას კოლეგები, მეგობრები, ახლობლები. ამ აზრს მკითხველიც გაიზიარებს, თუ ამ ინტერვიუს გაეცნობა.

- გილოცავთ - „საბას“ მონაწილეთა შორის ხართ. როგორც აღნიშნეთ, წიგნი სულ ბოლოს მიიტანეთ... რა შეგიძლიათ გვითხროთ თქვენს კრებულსა და ამჟამინდელ განწყობაზე?

- მოგესალმებით. დიას, ბოლოს მივიტანე, დებიუტანტებში. ბევრი ნიჭიერი კონკურენტი მყავს როგორც პროზიდან, ასევე პო-

ეზიდან და ვინც უნდა გამიარჯვოს, გამიხარდება, რადგან მიყვარს, როდესაც ნიჭს აფასებენ. ჩემი ლექსების კრებული „ამოსუნთქვამდე“ ძველ და ახალ ლექსებს აერთიანებს. ძირითადად, ემოციებზე, ტაბუდადებულ თემებზე, საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე ვწერ.

- ნიჭიერი, კრეატიული, საოცარი - ამ ეპითეტებით ხშირად მოგხსენიებენ... როგორ რეაგირებთ მათზე და, საერთოდ, როგორ დაახასიათებთ საკუთარ პერსონას?

- ძალიან მიყვარს თბილი სიტყვების მოსმენა, რადგან მეც მაქსიმალურად ვცდილობ, უფრო მეტი სიტუო და სიყვარული გავცე. რაც შეეხება ჩემს ნიჭს - ეს ხალხმა და დრომ უნდა განსაჯოს. საბედნიეროდ, იმდენი ნიჭიერი პოეტი ჰყავს საქართველოს, სანამ მათ სიმალდემდე ავალ (ან თუ ავალ, საერთოდ), დიდი გზაა გასავლელი.

იხ. მე-9 გვ.



# „ყოველთვის ჩამოვლილ მატარებელი, რომელსაც აუსილახელია, გაჰყვია“

მარიამ ხოთარაძე 27 48 93

ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი თეატრის მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის დამფუძნებელი და დირექტორი ლაშა ჩხარტიანი. იგი თავის პროფესიაზე, თეატრზე და ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე გვესაუბრება.



ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებით, მაღლიერი ვარ ეთერ ხომერკის, მარინა მთათაძის, გამორჩეულად მამხნევებდა ხოლმე მანანა ძიძიშვილი და რაოდენ სასიხარულოა, რომ ისინი დღესაც აქტიურად და ღირსეულად იღვწიან ამ საუკუნოვან გაზეთში.

**- ერთ-ერთი საუკეთესო თეატრმცოდნე ხართ საქართველოში. რა სირთულეები შეგხვდათ ამ გზაზე?**

- არა მგონია, ასე იყოს. ჩემზე უკეთ წერენ სხვებიც, უბრალოდ, ჩემმა აქტიურობამ, შრომისმოყვარეობამ და თეატრის უანგარო

ვასილ კიკნაძე, ქართველთა შორის ობიექტურობით ყველაზე გამოჩენილი თეატრის ისტორიკოსი და კრიტიკოსი. გამომართლა, რომ მისი მოწვევა გავხდი და მრავალი წელი ვისწავლე მასთან. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გზები იდელი ხნის წინ გაიყარა, მაღლიერი ვარ ლევან ხეთაგურის, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა. თანამედროვე ევროპულ თეატრში თუ რამე ვიცო, ეს მისი დამსახურებაა, ისე, როგორც ქართულ თეატრში - ვასილ კიკნაძის. უშუალოდ ჩემი პედაგოგები არ ყოფილან ლალა თაბუკაშვილი, ლელა ოჩიაური, მანანა კორძია, მაკა ვასაძე, მაგრამ მათ ზოგიერთ პედაგოგზე მეტი რესურსი ჩადეს ჩემში. თითოეული მათგანის სახელი პროფესიულ წრეებში მხოლოდ პროფესიონალიზმთან და ღირსებასთან ასოცირდება.

**- კრიტიკოსები დღეს თავიანთ სათქმელს ბოლომდე ვერ ამბობენ, ანაზღაურებაც მიზეზული აქვთ და არც არავის გადასცემენ სურთ. როგორ უნდა დააღწიონ თავი ამ სინდელს?**

- იყო კრიტიკოსი საქართველოში, ძალიან ძნელია, რადგან ბაზარი პატარაა და ყველა ყველას იცნობს, მეგობრობს, თანამშრომლობს. თუ იქნები პირუთენელი კრიტიკოსი, მაშინ აღარავინ მოგესალმება და გარიყული დარჩები, ასეთიც არსებობს. არ ვამბობ, რომ რეჟისორებს ან მსახიობებს უნდა გუყვარდეს, არ მაქვს ამის გამო დისკომფორტი, მაგრამ პატივს უნდა გცემდნენ. პატივისცემა კი მოდის პროფესიონალიზმითა და ობიექტურობით. ამიტომ, მე სადაც შეაში ვარ გაჩხერილი,

ზარზე. **- თეატრალური კრიტიკა ისეთ მაღალ საფეხურზე დღეს აღარ დგას, როგორც ადრე. რა ზიანს აყენებს ეს ყოველივე თეატრს?**

- არ მგონია, ასე იყოს. დიას, წინათ თუ მოღვაწეობდნენ ვასილ კიკნაძე, ნოდარ გურაბანიძე და ნათელა ურუშაძე, ახლაც მოღვაწეობენ გამოჩენილი კრიტიკოსები. ისევე, როგორც იდგებოდა კარგი და სუსტი, წარუმატებელი სპექტაკლები, იწერება კარგი და სუსტი რეცენზიებიც. ვფიქრობ, რომ საქართველოში მაინც იბოვი შვიდ კარგ თეატროლს, რომელიც თანამედროვე ქართული სათეატრო კრიტიკის ღირსებას წარმოადგენს. მოსაზრებას, გნებავთ ნარატის, რომ კრიტიკოსები აღარ არსებობენ, მსახიობები და რეჟისორები გვჩივან და ატყუებენ საზოგადოებას. სინამდვილეში, მათ მშვენივრად იციან, რომ კრიტიკა არსებობს და თანაც ძალიან მართებული, უბრალოდ, ამას ხმამაღლა არ აღიარებენ. მათ რომ ჰკითხო, არ კითხულობენ რეცენზიებს. აბა, საიდან იციან, რომ არ არსებობს კრიტიკა?! ისე, ბოლო დროს, კრიტიკა გამოცოცხლდა, რადგან კულტურის სამინისტრომ გააჩინა სივრცე, სადაც კრიტიკოსს შეუძლია გამოაქვეყნოს თავისი რეცენზიები და ამაში ანაზღაურებაც მიიღოს. ასეთი საშუალება დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ არ გვექონია კრიტიკოსებს.

**- ბათუმის თეატრმა მყუერბლის დაბრუნება შეძლო, პრემიერებზე ბილეთები სრულად იყიდება... მიმდინარე რეპერტუარს თუ იცნობთ და ზოგადად, რას ფიქრობთ ბათუმის დრამატული თეატრის სპექტაკლების ხარისხზე?**

- ვფიქრობ, ბათუმის თეატრმა, დღეს, ალექსანდრე ქანთარიას ხელმძღვანელობით, ლამის სამი ათეული წლის პრობლემის გადაჭრა. მანამდე იდგებოდა კარგი სპექტაკლები, მაგრამ მყუერბელი არ წყალობდა, ახლა მთელ ქართულ თეატრში დაბრუნდა მყუერბელი. ბათუმი სპეციფიკური ქალაქია მყუერბლის თეატრის ხარისხით, საკმაოდ რთული. ბოლო პერიოდის სტაბილურმა სარეპერტუარო აფიშამ გახადა შესაძლებელი მყუერბლის მოზიდვა. ეს კარგად იცოდა ალექსანდრე ქანთარიამ და შედეგად არ დააყოვნა. ამავდროულად, დღეს, ბათუმის თეატრს მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს, უანობობივად და თემატურადაც. ადრე თუ მხოლოდ 6-9 მსახიობს გნედავდით, ახლა ასე აღარ არის ფაქტობრივად, დასის წევრთა თეატრის მრავალმნიშვნელოვნად ის მიმჩნია, რომ ბათუმის თეატრი ბოლო პერიოდში ინარჩუნებს რეპერტუარში სპექტაკლებს და იგი პრემიერის შემდეგ აფიშიდან არ ქრება...

## იყო კრიტიკოსი საქართველოში, ძალიან ძნელია, რადგან ბაზარი პატარაა და ყველა ყველას იცნობს, მეგობრობს, თანამშრომლობს. თუ იქნები პირუთენელი კრიტიკოსი, მაშინ აღარავინ მოგესალმება და გარიყული დარჩები, ასეთიც არსებობს. არ ვამბობ, რომ რეჟისორებს ან მსახიობებს უნდა გუყვარდეს, არ მაქვს ამის გამო დისკომფორტი, მაგრამ პატივს უნდა გცემდნენ. პატივისცემა კი მოდის პროფესიონალიზმითა და ობიექტურობით

მმართველობის პერიოდი და სამთავრობო გაზეთში ყველა სიტყვა კონტროლდებოდა. აი, მაშინ, ვბეჭდავდი წერილების ციკლს აჭარის ხელოვნების წარსულიდან, სადაც ვამბობდით, რომ XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში საოპერო თეატრი არსებობდა, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში აქ საბავშვო ოპერები იდგებოდა. ამით ვამბობდით - არა, ბატონო ასლან, თქვენამდეც იყო ოპერა, საბავშვო ოპერა და სხვა კულტურული აქტივობა აჭარაში. ეს დღეს სასაცილოდ გვიჩვენებთ, ალბათ, მაგრამ ამაში მაშინ დიდი გაბეღულება სჭირდებოდა და მაღლობელი ვარ რედაქტორის მხარდაჭერის. გაზეთი „აჭარა“ ჩემს მეორე ოჯახად იქცა თეატრის შემდეგ, სულ ვგრძობდი უფროსი თაობის მხარდაჭერას, რომელთა რედაქტორობაზეც გამზარდა მე და გარკვეული როლიც შეასრულა ჩემს ავტორად

სიყვარულმა მაქცია იმად, რაც დღეს ვარ. ყველაზე რთული თავის დამკვიდრების პერიოდი იყო. კარგად ვსწავლობდი, ხშირად ვიბეჭდებოდი, პოპულარობაც არ მაკლდა ჩემს სფეროში, მაგრამ უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, უმუშევარი ვიყავი 8 თვე, არადა, მეგონა, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შემოთავაზებდნენ რიგი დამიდებოდა. თუმცა, ფარხმალი არ დავყარე და გავაგრძელე მუშაობა. ამაში იმეტომ ვყვები, რომ მომავალმა თაობამ არ დაკარგოს რწმენა, ყოველთვის ჩამოვივლი მატარებელი, რომელსაც აუსილახელია, გაჰყვია.

**- ვინ არის თქვენი საყვარელი პედაგოგი, რომელმაც წვლილი შეიტანა თქვენს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში?**

- უპირველესი პედაგოგი და აღმზრდელი

ვცდილობ, ვთქვა სიმართლე, მთავარია, ჩემ თავთან ვიყო მართალი... რადიკალიზმი სულაც არ არის სწორი გზა, სჯობს იყო კონსტრუქციული.

**- თქვენ რამდენად გამოვლით ისეთი ფორმით კრიტიკა, რომ არ გაიჩნოს განაწყენებული ადამიანები?**

- როცა სიმართლეს ამბობ, გინაწყენდებიან ადრესატები, მაგრამ დროის შემდეგ ხვდებიან, რომ მართალი ვუთხარი, სიმართლე დავწერე. თუმცა, კრიტიკული წერილი არავისთვისაა სასიამოვნო, ზოგი ამას აგრესიულად იღებს, ზოგი ამ აგრესიას მაღავს და თავს იკატუნებს, ვითომ არაფერი წაუკითხავს და არაფერი იცის. ისე, რაც უფრო მეტი უგანაწყენებული ეგოლება კრიტიკოსს, მით უფრო კარგი კრიტიკოსია და მისი ფასიც იწევს ბა-

იხ. მე-9 გვ.

## მეტყველების ტექნიკის დამუშავების ტრენინგი - ბათუმში

მარიამ ხოთარაძე 27 48 93

19-დან 25 მაისის ჩათვლით მეტყველების სივრცე „ბანი“ ნებისმიერი ასაკისა და პროფესიის ზრდასრულ ადამიანს მეტყველების ერთგვიანად ვორკშოპზე იწვევს. ტრენინგის ფორმატი ინტერაქტიულია და თეორიასთან ერთად პრაქტიკულ სავარჯიშოებს მოიცავს



კურსს უძღვებიან პედაგოგები, მეტყველების სპეციალისტები: ეკატერინე ბაკურაძე და ნინო ნინუა. ტრენინგი ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მყუერბელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში გაიმართება.

იყოს საუბარი მონოტონური და გახდეს უფრო დამაჯერებელი, შევასწავლით სხვადასხვა ტექნიკას, რომელიც დაეხმარებათ საკუთარი აზრის ადვილად გადმოცემაში. - გვითხრა ეკატერინე ბაკურაძე.

- ჩვენ ვმუშაობთ როგორც ინდივიდუალურად, ასევე, მცირე და დიდ ჯგუფებთან. სხვადასხვა ფორმატში მიმდინარე კურსი კომფორტულს ხდის არჩევანს, საშუალებას იძლევა, მონაწილემ პედაგოგებთან ერთად უკეთ დავედროს კონკრეტულად მისთვის შესაფერისი კურსი. ჯგუფურ ფორმატში მიმდინარე კურსი ინტერაქტიულია, არ მოიცავს მხოლოდ ლექციებს და თეორიას. მონაწილეთა აქტიური ჩართულობა, სავარჯიშოები, შემოქმედებითი გარემო და დისკუსიები თამაშის

ფორმას იძენს და გამოცდილებასთან ერთად სიამოვნებას და სიხალისეს განიცემთ, - გვითხრა ნინო ნინუა.

- „ბანის“ მეტყველების კურსების ბათუმში ჩატარებას კოორდინირებას გულწრფელად დიდი სიამოვნებით ვუწევ. მეტყველების პედაგოგ ეკატერინე ბაკურაძესთან პირველივე გადაცემისას, როცა თბილისში ახლად გახსნილი მეტყველების სივრცის შესახებ ინფორმაცია გამოიხარა, ზუსტად მახსოვს, ვუბახუბრე - ბათუმში მოთხოვნა არ ვიცი, მაგრამ საჭიროება ნამდვილად არის-მეთქი. ზოგადად, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სხვადასხვა, ფუნქციურად ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობის

საშუალებას გაძლევს და საერთო სურათის დანახვა გაადვილდება. დაკვირვებამ მიჩვენა, რომ ზოგადი ფონი საუბრის კულტურისა „მიშველებულია“. მარტივი მაგალითისთვის: ვიცით, რომ რესპონდენტი პასუხისმგებელ მოსაუბრეს გულისხმობს, იგივე მოცემულობა კორესპონდენტის შემთხვევაშიც. აქ პროგრამა მაქსიმუმ ასეთია: ერთმა კარგი კითხვა დასვას, გასაგებად, მეორემ კი გარკვევით უბახუხოს, მთავარი აქცენტებით. რეალური მოცემულობის გამოძახილი ისაა, რომ მსმენელის კონტაქტს, ამბის ხაზის გააზრების ნაცვლად, ლურჯი პომადის დამახსოვრებას ამჯობინებს. მეტყველების კურსით საზოგადოების ის სეგმენტი დაინტერესდება, ვისაც აქტიურად უწევს საუბარი, კერძოდ, მეწვერები, ურჩხალების, თარჯიმნები, მუშეუმისა თუ ტური-სტული სააგენტოების გიდები, რომლებსაც კიდევ უფრო დიდი მისია აკისრიათ ამბის თხრობისას, ასევე, ისეთი პროფესიის ადამიანებიც, რომლებიც საუბარს გაუბრბიან და წერას ან ხატვას ამჯობინებენ, მაგრამ მაინც ხშირად უწევთ შეხვედრები, ინტერვიუები. ცხადია, უმაღლესი სასწავლებლები თავის წილს უზარუნველყოფენ. რატომაც მნიშვნელოვანი აქცენტი და კრიტიკა ბოლო დროს მხოლოდ მსახიობებ-

შე მოდის, რეალურად კი სცენის გამოლმა მთხრობლებსაც სჭირდებათ საკუთარი მეტყველების ნაკლოვანებებზე დაფიქრება და მუშაობა. ბუნებრივია, ერთგვიანად კურსი ერთბაშად ორატორად ვერ გვაქცევს, თუმცა მცირე ჯგუფთან მუშაობისას, გამოცდილი პედაგოგების ინდივიდუალური დაკვირვების შედეგად, კონსულტაციები და აქტიური ვარჯიშები უშედეგოდ ნამდვილად ვერ ჩაივლის. ბათუმში ასე აქტიურად მსგავსი კურსი არ შემეგვდრია. მიწა ვთქვა, რომ უშუალოდ ვიყავი მეტყველების კურსის გავლით დაინტერესებული. ვფიქრობ, კარგი შესაძლებლობაა მათთვის, ვინც იაზრებს, რომ ამ კუთხით საკუთარ თავზე უნდა იმუშაოს. ახლანდელ დავანოსთან და დაინტერესება საკმაოდ მაღალია. 19-დან 25 მაისის ჩათვლით, დღეში 2-3 საათი ხანგრძლივობით, ერთგვიანად მეტყველების კურსის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და რეგისტრაციის ინფორმაცია დაგვიკავშირდით ან მოგვწერეთ ელ.ფოსტაზე: +995577180405. ვფიქრობ, ყველანაირ საქმიანობაში, ერთი მთავარი ხაზია საბოლოო და მასზე სამუშაო - რა სჭირდება საზოგადოებას, - გვითხრა მეტყველების კურსის კოორდინატორმა მარცხ ტულუშმა.



# წლების შიმღებ გაბაზული სივარითი და 27 წლის ასაკში ნაპოვნი დედა

მარიამ ხოთარაშვილი 27 48 93

საქართველოში არ არსებობდა სტრუქტურა, საინფორმაციო საშუალება ან სააგენტო, სადაც დარეკავდი და ეტყუოდი: გამარჯობა, გავიგე, რომ გაშვილებული ვარ და სად მივიდე, რა საბუთი წარვადგინო, როგორ უნდა მოვიქცე. არავინ გაკვლიანებდა. არასამთავრობო ორგანიზაცია „ვეტიბ“ მას შემდეგ დაფუძნდა, რაც 2 წლის წინ სოციალურ ქსელში ამავე სახელწოდების ჯგუფი გამოჩნდა და უკანონოდ გაშვილებულმა ადამიანებმა ბიოლოგიური მშობლების ან მშობლებმა მკვდრად გამოცხადებული შვილების ძებნა დაიწყეს

ათწლეულების განმავლობაში სხვადასხვა ქალაქის სამშობიაროებში დაბადებული ათიათასობით ბავშვის მშობლებს ეუბნებოდნენ, თქვენი შვილი გარდაიცვალა და ის სამშობიაროს ჩვილების სასაფლაოზე დაგვრძალეთო, სინამდვილეში კი მათ ფულის სანაცვლოდ უკანონოდ აშვილებდნენ.

1997 წლის 2 აპრილს ბათუმში დაბადებული ნანა კვიციანი, 8 თვისა, ბავშვთა სახლიდან აიყვანეს და იშვილეს, შემდგომ ის მარიამ ჯვარცხელია გახდა. ის, რომ ბიოლოგიური მშობლები არ ზრდიდნენ, წლების წინ შემთხვევით გაიგო. 2022 წლიდან ბიოლოგიური მშობლებს ეძებდა და 27 წლის ასაკში იპოვა. როგორ შეძლო ამ ყველაფრის მიღება, რა დაეხმარა სირთულის გადალახვაში, რა გზა გაიარა მშობლების ძიების პროცესში და რა რეაქცია ჰქონდათ აღმზრდელ მშობლებს - ამ და სხვა საინტერესო დეტალებზე მარიამ (ნანა) ჯვარცხელია გვესაუბრება.

- მარიამ, შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ ბათუმში ერთმა ძალიან თბილმა ოჯახმა გიშვილათ. როდის და როგორ გაიგეთ, რომ ბიოლოგიური მშობლები არ გზრდიდნენ?

- 2017 წელს ერთ პიროვნებას - კობა ფალავას ვწერდი ერთ-ერთ სოციალურ ქსელში. შეკამათებისას მომახსენა, რომ ჩემი აღმზრდელები არ იყვნენ ჩემი ბიოლოგიური მშობლები და თან სალანძღავი სიტყვები მოაყვალა. საქმე ისაა, რომ ეს ყველაფერი წავიკითხე 2 წლის შემდეგ - 2019 წელს, როდესაც ხელმოკრედი მომწერა აღნიშნულმა პიროვნებამ მოკითხვის მიზნით. ავუყვიე მიმოწერას და ვნახე 2 წლის წინ მოწერილი



თვის და აღარ გავაგრძელებ ამ საკითხზე საუბარს. დედა, როგორც კი მოისმინა ჩემი კითხვა, მაშინვე მომიყვია ყველაფერს, რაც იცოდა - ეტაპები, რაც გაიარა, სანამ სახლში მომიყვანდა და ჩემზე არსებული ინფორმაცია, რაც მისთვის იყო ცნობილი. მეორე დღესვე განვათავსე ვიდეო სოციალურ ქსელში, სადაც ჩემს ხელთ არსებული ინფორ-

მაცი და აღარ გავაგრძელებ ამ საკითხზე საუბარს. დედა, როგორც კი მოისმინა ჩემი კითხვა, მაშინვე მომიყვია ყველაფერს, რაც იცოდა - ეტაპები, რაც გაიარა, სანამ სახლში მომიყვანდა და ჩემზე არსებული ინფორმაცია, რაც მისთვის იყო ცნობილი. მეორე დღესვე განვათავსე ვიდეო სოციალურ ქსელში, სადაც ჩემს ხელთ არსებული ინფორ-

მაცი და აღარ გავაგრძელებ ამ საკითხზე საუბარს. დედა, როგორც კი მოისმინა ჩემი კითხვა, მაშინვე მომიყვია ყველაფერს, რაც იცოდა - ეტაპები, რაც გაიარა, სანამ სახლში მომიყვანდა და ჩემზე არსებული ინფორმაცია, რაც მისთვის იყო ცნობილი. მეორე დღესვე განვათავსე ვიდეო სოციალურ ქსელში, სადაც ჩემს ხელთ არსებული ინფორ-

**როდესაც ტესტმა არ მომცა სასურველი შედეგი, გადავწყვიტე, მიმემართა ბათუმის საქალაქო არქივისთვის. ამისთვის დამჭირდა გამზრდელი მშობლების თანხმობა, რაც ნოტარიულად დავამოწმეთ. ეს ცნობა არქივში მივიტანე და ჩემზე არსებული ყველა ინფორმაცია გამოვითხოვე. დოკუმენტებში ეწერა ჩემი ბიოლოგიური დედის სახელი, მამის სახელი და გვარი. სხვა ინფორმაცია, სამწუხაროდ, არ ეწერა. ეს ყველაფერი, ასევე, მოყვები ვიდეოში და განვათავსე სოციალურ ქსელებში**

მაცია გავაცანი საზოგადოებას ბიოლოგიური დედის ძიების მიზნით, რაზეც გამომეხმარა აწ უკვე ჩემი ბიოლოგიური ოჯახი. ისინი რატომღაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ „მათი“ ვიყავი, რადგან ძალიან ემთხვეოდა ყველაფერი, რასაც მე ვცხებოდი ვიდეოში.

- როდესაც ტესტმა არ მომცა სასურველი შედეგი, გადავწყვიტე, მიმემართა ბათუმის საქალაქო არქივისთვის. ამისთვის დამჭირდა გამზრდელი მშობლების თანხმობა, რაც ნოტარიულად დავამოწმეთ. ეს ცნობა არქივში მივიტანე და ჩემზე არსებული ყველა ინფორმაცია გამოვითხოვე. დოკუმენტებში ეწერა ჩემი ბიოლოგიური დედის სახელი, მამის სახელი და გვარი. სხვა ინფორმაცია, სამწუხაროდ, არ ეწერა. ეს ყველაფერი, ასევე, მოყვები ვიდეოში და განვათავსე სოციალურ ქსელებში. როგორც დასაწყისში ვახსენე, ყველა ინფორმაცია ერთმანეთს დაემთხვა და ამის საშუალებით ვიპოვე ბიოლოგიური ოჯახი.

- ბიოლოგიური დედას რა ინფორმაცია ჰქონდა თქვენზე?

- მან მხოლოდ ის იცოდა, რაც უთხრეს სამშობიაროში - თითქოს მისი შვილი ასფიქსიით გარდაიცვალა, თუმცა მკაფიოდ ახსოვს ბავშვის ტირილის ხმა.

- თქვენი ნამდვილი სახელ-გვარიც გაიგეთ. რამდენად უჩვეულოა ეს ყველაფერი?

- ჩემთვის დაბადების სახელ-გვარის გაგება არ ყოფილა უჩვეულო და არც ჩემი ამბავი. ისეთი შეგრძობა მაქვს, თითქოს ყოველთვის ვიცოდი. ყოველთვის მომწონდა სახელი ნანა და დღეს ჩემს სოციალურ ქსელებში მეორე სახელად ნანა მიწერია. ახლა ადამიანებსაც ორივე სახელით ვცნობი. ძალიან შემეხვარა.

- დედამიშვილი გყავთ?

- მყავს და, რომელიც ჩემზე უფროსია. ხშირად გეხმარებით ერთმანეთს და უკვე ძალიან დავახლოვდით.

- როგორ შეძელით ამ ყველაფრის მიღება? რა დაგეხმარათ ამ სირთულის გადალახვაში?

- იქიდან გამომდინარე, რომ დედაჩემი უაღრესად განათლებული ქალბატონია, მან წინასწარ დასახა გეგმა, თუ როგორ უნდა მოეწოდებინა ჩემთვის ეს ინფორმაცია არაპირდაპირი გზით. ბავშვობაში მახსოვს, ხშირად ვუყურებდი სხვადასხვა ფილმს, სადაც ალწერილი იყო ბავშვთა სახლის აღსაზრდელების ცხოვრება ან, უბრალოდ, ოჯახი, სადაც იზრდებოდა ბავშვთა სახლიდან წამოყვანილი ბავშვი. ასევე, დედა ხშირად მიყვებოდა სხვა ადამიანების ისტორიებს, რომლებსაც არ უჩნდებოდათ შვილი და ბავშვთა სახლიდან მოშვებულნი აღსაზრდელად. ყოველთვის მიუბნებოდა, რომ ეს იყო ძალიან

კეთილშობილური და მაღლიანი საქმე როგორც მშობლისთვის, ასევე ბავშვისთვის. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, შეგუებული ვიყავი ამ ინფორმაციას და არასოდეს იყო ჩემთვის ეს ფაქტი გასაოცარი. მართალია, ცოტა წარმოუდგენელი იყო, რომ მეც, იმ ბავშვების მსგავსად, სახლში მოყვანილი ვიყავი - მსგავსება ჩემსა და ჩემს მშობლებს შორის წარმოუდგენელია, თუმცა ამაზე მეტად მაღლიერების გრძობა მქონდა ჩემი მშობლების მიმართ და დღემდე ამ გრძობით მოვიდვიარ.

- ახლა რა ეტაპზე ხართ - ბიოლოგიური ნათესავებთან შეხვედრას ამბობთ?

- თავიდან ძალიან ალტაცებული ვიყავი ამ ამბით და ერთი სული მქონდა, როდის გავიცნობდი მათ პირადად, თუმცა ახლა არ ვარ ამაში დარწმუნებული. ბევრს ვფიქრობ, ბევრი რაღაცის აწონ-დაწონა მიწევს საკუთარ თავთან და ჯერ არ ვიცი, როდის შეხვდები მათ. მართალია, ეს ამბავი უკვე მიღებული და გააზრებული მაქვს, თუმცა ჯერ ვერ ვიღებ გადაწყვეტილებას.

- გარეგნული მსგავსება თუ არის დედასა და თქვენ შორის?

- სიმართლე გითხრათ, დედად ვერ ვამსგავსებ საკუთარ თავს, თუმცა ძალიან გვაგონა ჩემს გამზრდელ დედას. გავიათ ალბათ, რომ ბავშვი საბოლოოდ მაინც გამზრდელ მშობლებს ემსგავსება.

- აღმზრდელი დედა რას ამბობს? ხომ არ დარდობს, თავის დროზე ეს ამბავი რომ გერგავიძინოთ?

- არ დარდობს, რადგან ის ყველაზე კარგად მიცნობს. ზუსტად ამ მიზეზით არ მომიყვია ყველაფერს 2019 წელს, რადგან ძალიან რთულ პერიოდში ვიყავი და შესაძლო იყო,

არაადეკვატურად მიმელო ეს ამბავი ან საერთოდ არ მიმელო.

- რას ეტყვიან იმ ადამიანებს, ვინც ამ ყველაფერს ახლა გადის?

- მოუსმინეთ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს. სხვა ვერ გეტყვით, როგორ უნდა მოიქცეთ, რადგან ეს მხოლოდ თქვენ იცით. თუ რაღაც ეტაპზე დაწებება მოგიწევთ, დაწებდით, ოღონდ ყურები არ ჩამოყაროთ და ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ მიზანს მიაღწიოთ. შეაწუხეთ ყველა, ვისი შეწუხებაც შესაძლებელია და არ მოგერიდოთ ამ საკითხზე ხმაბაღლა საუბრის, რადგან შესაძლოა, თქვენი ამბავი სხვისთვის სტიმული აღმოჩნდეს.

- საკუთარ ისტორიას სოცქსელებში აქტიურად ჰყვებით. როგორ პოულობთ თქვენში სიძლიერას და გამბედაობას?

- ჩემი ზოლიაქოდან (ვერძი) გამომდინარე, ყოველთვის მქონდა ძალა და გამბედაობა ისეთი რაღაცის თქმის ან გაკეთების, რაც ოდნავ მაინც გამოიმარჩევდა საზოგადოებისგან. შესაბამისად, ეს არასოდეს ყოფილა ჩემთვის წინაღობა. მეტიც, ამ ნაბიჯით ბევრ ადამიანს დავეხმარე და დღემდე ვცხებარები.

- ერთ-ერთ პლატფორმაზე მენტალური აშლილობის შესახებაც ჰყვებით და ახალგაზრდებს რჩევებს აძლევთ...

- დიახ, ეს ჩემი მიმართულებაა, რაზეც აქტიურად ვსაუბრობ და მოვუწოდებ ადამიანებს, რომ მენტალურ განმარტობაზე საუბარი არის აუცილებელი და მნიშვნელოვანი. არის ბევრი რამ, რაც ყოველდღიურობაში გვხვდება და ჩვეულებრივი რამ გვგონია, თუმცა არის ჩვენი მენტალური მდგომარეობა, რომელიც უნდა ვმართოთ და არ მივცეთ საშუალება, ჩავვითრიოთ და სიცოცხლე გავიუფეროთ.

- რა გეგმები გაქვთ?

- არასოდეს ვისახავ გეგმებს. ბევრი სურვილი მაქვს, თუმცა რაც დამიგეგმავს, არასოდეს გამომსვლია, ამიტომ მიყვები ცხოვრებას. ყავის სფეროში ვმუშაობ, სადაც თავს ძალიან კომფორტულად გრძობ. მყავს ოთხფეხა მეგობრები, რომლებსაც ვუვლი, ორი უმშვენიერესი მშობელი, რომელთა ერთადეც ვატარებ დროს და ვიფერადებ ცხოვრებას. ვარ ფოტოგრაფით გატაცებული. ვცდილობ, ყოველდღიურად გამოვიდე კომფორტის ზონიდან და შევიგრძნო ნამდვილი ცხოვრება.



სიტყვები, რამაც ძალიან იმოქმედა ჩემზე. მაშინვე მივედი მშობლებთან, მოვუყვიე, თუმცა მაშინ მათ ეს ინფორმაცია უარყვეს. ჩემი შინაგანი მდგომარეობიდან გამომდინარე, ასე ჩათვალეს საჭიროდ და მაღლობა მათ ამისთვის.

- რა რეაქცია ჰქონდათ აღმზრდელ მშობლებს, როცა გაიგეს, რომ სიმართლე იცოდით?

- ძალიან ადეკვატური, თუმცა მამამ ძალიან განიცადა, რადგან არ იყო მზად ამის-

- დნმ-ის ტესტის გაკეთება როდის გადაწყვიტეთ და რა სირთულეები გაიარეთ ბიოლოგიური მშობლების ძიების პროცესში?

- როდესაც ჩემი მშობლებისგან მივიღე ინფორმაცია, მაშინვე დავეწერე პოსტი ფეისბუქის ჯგუფში „ვეტიბ“ და ბევრმა მიჩნია, რომ დნმ-ის ტესტი გამეკეთებინა. ეს პროცესი საკმაოდ გაიწელა, რადგან რაღაც ეტაპზე მენტალურად გადავიღალე და გვერდზე გადავდე ეს ამბავი, თუმცა შემდეგ კვლავ გავა-

# გულო ბებოს თოჯინები ისევ ჩვენთანაა

მანანა ბიძიშვილი 598 24 94 97

გულნარა მიქანაძე-სვანიძე, ანუ როგორც მას ეძახიან - გულო ბებო 21 წელია, ასობით ქართველი ქალბატონებით, იტალიაში, ემიგრაციაშია და ამჟამად ვენეციის რაიონის ქალაქ სან-დონ-დი-პიავეში 92 წლის მოხუცს უვლის. ოჯახებს იცვლის, მაგრამ მის ცხოვრებაში ერთი რამ არ იცვლება - ხანდაზმულების მოვლასთან ერთად, მინიატურულ თოჯინებს ქსოვს, რომლებიც ყოველთვის ვინმესთვის პერსონალურად იქმნება. 2011 წლიდან ნამუშევრები ფართო საზოგადოებას წარუდგინა ბათუმში, თბილისში, ქუთაისსა და... იტალიაში.



შევგრები ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მკურნალებს პროფესიულ თეატრში გამოიფინა, სადაც ასზე მეტი თოჯინა იყო წარმოდგენილი, თუმცა, მას გაცილებით მეტი აქვს მოქსოვილი და გაჩუქებული. ასე გაუზავნა მან თოჯინები ამერიკაში, ისრაელში, პოლონეთში, საბერძნეთში მცხოვრებ ნაცნობ მეგობრებს...

როგორც ვთქვით, ეს თოჯინები ყველა იტალიაში, ემიგრაციაშია შექმნილი, როცა მოხუცთან ზის, ხელში სულ საქსოვი უჭირავს. ერთი ბებო კიდევაც ჰყავდა „ჩართული“ ქსოვაში, კარნახობდა, როგორი თოჯინები გაეკეთებინა. ამჟამინდელ თოჯინებში ჩვენთვის ნაცნობი და საყვარელი მსახიობების - ქართველი ნანა სტამბოლიშვილისა და ალბანელი ნიკ ხელილაჯის თოჯინებიცაა, რომლებიც თურქულ სერიალში „სხვისი შვილი“ (მეთხე სეზონი) მთავარ როლებს ასრულებენ. ბევრმა მიულოცა გულო ბებოს მორიგი გამოფენა გახსნა და დაბადების დღე, მათ შორის, მისმა მეგობარმა ლილა ხინთიბიძემ. - მე და გულო, მის იტალიაში

წასვლამდე, წლები ერთად ვმუშაობდით, ჩემი ახლო მეგობარი, გულთბილი, უბოროტო, ძალიან ნიჭიერი ადამიანია, წერს წიგნებს. ძალიან მომწონს მისი თოჯინები და „თოჯინური“ წიგნები, რომლებიც კარგ ხასიათზე გაყენებს. ამ გამოფენაზე არაერთი ახალი თოჯინა ვნახე. გაუმჯობესებული ნაკეთობებია. პატარა, ქსოვილი შექმნილი ადამიანები სიამოვნებას გვანიჭებენ. ადრე ამა თუ იმ ლექსის ტექსტზე შექმნილი თოჯინების გამოფენა მოაწყო, რომელიც ასევე საინტერესო იყო, - გვითხრა ლილა ხინთიბიძემ. გამოფენაზე გულნარა მიქანაძე-სვანიძის ახალი მომცრო წიგნი - „ყველის ფესტივალი“ წარადგინეს.

# „ვსდრილოვ, უფრო მეტი სიტუო და სიყვარული გავსა“

მე-6 გვერდიდან

**- როგორ შედეგა თქვენი ლიტერატურული ნათლობა?**  
- პირველი ნაბიჯები მამასთან ასოცირდება. მან შემაყვარა ლექსებიც და წერაც. მაშინვე, ამირან პოდერძიშვილი, არის ერთ-ერთი კარგი პოეტი, აქვს საინტერესო პატრიოტული თუ სასიყვარულო ლირიკა. პირველი ლექსი 10-13 წლის ასაკში დამიბეჭდეს სიღნაღის გაზეთ „ქიზიყში“.  
**- თქვენი ფესვები, ოჯახი, გარემო...**  
- როგორც აღვნიშნე, მამა ამირან გოდერძიშვილი პოეტი, დედა ნინო მირიანაშვილი - მუსიკის მასწავლებელი, ჩემი უფროსი და ირმა წერს პროზას, ლექსებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. სწორედ, მამის და დის დამსახურებაა ლიტერატურისადმი ჩემი ასეთი სიყვარული.  
**- განათლებული გონება აკეთილშობილებს წინაშე - ეთანხმებით ამ პოსტულატს? საკუთარ განათლებაზე, მისწრაფებებსა და საქმიანობაზე მოგვიხსენიებთ.**  
- ჩემი აზრით, გონიერი და განათლებული ადამიანი უფრო კეთილშობილი უნდა იყოს, რადგან თუ კარგად აზროვნებ, მიხვდები, რომ სიკეთესა და სიყვარულზე დიდ და ღირებულ საქმეს ვერ გააკეთებ ამქვეყნად. მაინტერესებს ყველა სფერო, კოსმოსიდან - მიკროსამყარომდე: ხელოვნება, ფიზიკა, ფსიქოლოგია, ენოთერია, მედიცინა... ვთვლი, რომ რაც უფრო მეტს ააწევს ადამიანი, წინ მით მეტი სამყარო იშლება, რომელსაც ვერ ამოწურავ და ბოლომდე ვერ შეისწავლი - ვერც ადამიანს, ვერც სხვა მოვლენებს.  
**- ქართველებს წაკითხულის გააზრება უჭირთო, დაასვენებ ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის გამოკითხვაში.**  
- ვერ ვიტყვი, მარტო ქართველებს უჭირთ-მეთქი. ზოგადად, ადამიანს მარტივი ენით უნდა ელაპარაკოს, რომ ბოლომდე გამოვყვეს

და ჩასწვდეს აზრს, მის სიღრმეებს. ავიღოთ იესო ქრისტეს მაგალითი. უფალი ივანეებით ელაპარაკებოდა ხალხს, რადგან ასე უფრო ადვილი იყო, აეხსნა მისთვის სამყაროს საიდუმლოებები. ასევე იყო სხვა მიმდევრობებიც.  
**- ხშირად გვესმის მასმედიიდან: ქალი - მწერალი, პოეტი... ცალკე გამოდის ქალი ავტორების კრებულები...**  
- ზოგადად, ჩემთვის მიუღებელია ასეთი დაყოფა, მით უმეტეს, რომ არც ქართულ ენაში გვაქვს სქესი. ჯერ კიდევ როდის ამბობდა შოთა: „ლტვი ლომისა სწორია“ და უფრო მეტიც - არა თუ სწორი, ქალი უფრო მეტ სიმალღეზეა აყვანილი ქართულ სიტყვიერებაში, ვიდრე კაცი. ამის მაგალითებია: დედამიწა, დედაბოძი, დედაენა... თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, ქართულ ლიტერატურას თუ გადავხედავთ, ანა კალანდაძის და რამდენიმე ქალბატონის გარდა, არსად ჩანს ქალის სათქმელი, ხმა, გრძნობები. კარგია იქნება, თუ ბევრი ქალი მწერალი გამოვა და იტყვის ქალების სათქმელს, სატიკვარს, სიხარულს, ვნებებს...  
**- თქვენი სტილი განსხვავებული და საყურადღებოა - სადა ტექსტი და სათქმელის სიღრმე, ლექსს აცოცხლებთ... ეს თავისთავად ხდება თუ ჩანაფიქრის განსახიზვერება?**  
- ჩემი მიზანია, მარტივი ენით ვესაუბრო ჩემს მკითხველს და ლექსით დაგაფიქრო სხვადასხვა საკითხზე, ღირებულებებზე.  
**- „მე ვიქნები წარმატებული“ - ბევრს იცინობთ, ვინც ასე ამბობს საკუთარ „მეს“ და თავად თუ იყენებთ ამ მეთოდს? საერთოდ, მედიტაციის გავლენა - პიროვნებაზე?**  
- ძალიან მიყვარს აზოური სულიერი სწავლებების სიღრმეებში წვდომა, მათ შორის, მედიტაციაც, თუმცა, ჩემს შემთხვევაში, როცა კი ვგრძნობ, რომ ვარ მწვერვალზე, მაშინ ვცემი და როცა ვფიქრობ, რომ არაფერი

ვარ, მაშინ ვიღებ დაფასებას. ჩემთვის ეს ყველაფერი აინსება უფლის სიტყვებით: „ვინც იმდღეს თავს, იგი დამდაბლდება, ვინც დამდაბლდება თავს, იგი ამაღლდება“.  
**- ციფრულ რეალობაში ვართ. როგორ გადავიწყობთ - რას ურჩევთ უფროს თაობას?**  
- ჩემი აზრით, დროს უნდა ავუწყობთ ფეხი შეძლებისდაგვარად, თუ გვსურს, არ მოვწყდეთ განვითარების გამოწვევებს, თუ გვსურს, რომ დავგინახონ, თუ გვსურს, რომ გაიგონ ჩვენი ხმა და სათქმელი.  
**- რელიგიისადმი თქვენი დამოკიდებულება როგორია? ფიზიკოსს კვანტურ ცნობიერებაზეც მსურს, გკითხოთ...**  
- ჩემი აზრით, ფიზიკის და მეცნიერების კანონებისთვისაც ძნელია რელიგიის ბოლომდე ახსნა, თუმცა სწორედაც მეცნიერება ამტკიცებს, რომ სამყაროს შექმნა, ღმერთის გარდა, არავის და არაფერს შეეძლო ასე სრულყოფილად. მართლაც, საოცარია მაკრო და მიკროსამყაროებზე დაკვირვება და ერთმანეთთან შედარება, სადაც ქაოსშიც კი აბსოლუტურად დაცულია სიმეტრია და სხვა წესები.  
**- უცხოპლანეტელს რომ შეხვდეთ, რას ჰკითხავდით?**  
- ვთხოვდი, მოეყოლა სხვა პლანეტებზე, რა ხდება იქ, გკითხავდი, რა იცის დედამიწის განვითარების, ღმერთის შესახებ...  
**- თქვენი აზრით, როგორი იქნება მომავლის ადამიანი, მომავლის ლიტერატორა?**  
- ჩემი აზრით, მომავლის ადამიანი იქნება უფრო მაღალი განვითარების საფეხურზე, ვიდრე ჩვენ ვართ. შესაბამისად, მომავლის ლიტერატორაც უფრო მეტ სახალეს მოითხოვს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უარს ვთქვით ჩვენს ფესვებზე, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების, „ვეფხისტყაოსნის“ - და სხვა ლიტერატურული შედეგების ღირებულებებზე და მათი გადაფასება დავიწყეთ.

**- მწერლობა და პოლიტიკა...**  
- ვფიქრობ, მწერალი არცერთ პოლიტიკურ გაერთიანებას არ უნდა ემსახურებოდეს და ყოველთვის ხალხის, ქვეყნის ღირებულებების მხარეს უნდა იდგეს.  
**- საკუთარ თავს რა დროს უთმობთ? ბუნება და თქვენ...**  
- სამწუხაროდ, სამი პატარა ბავშვის და სამსახურის პირობებში, როცა ამდენი პასუხისმგებლობა გაკისრია, ძნელია, დრო დაუთმო საკუთარ თავს. ბუნებაში ყოფნა სულიერად მავსებს და მაქსიმალურად ვცდილობ, შევიღებთან ერთად ბევრი ვიარო, მათთან ერთად დავტკებ და დავაკვირდებ ბუნებაში გაბნეულ სილამაზეებს, სასწაულებს.  
**- სამი სურვილი და სამი რჩევა - თანამემამულეებს.**  
- გიყვარდეთ საკუთარი თავი, სამშობლო, ხალხი, ენა, სარწმუნოება და მადლიერი იყავით, რომ საქართველოში და ქართველად დაიბადეთ! გაუფრთხილდით ყველა იმ სიმდიდრეს, რაც დროებით გადმოგეცათ და რაც შეილება უნდა დაუტოვოთ. უფრო მეტი ენერჯია ჩადეთ განათლებაში, რადგან ის ყველაზე დიდი იარაღია, რითაც შეგიძლია დაცვა, განვითარო და გააძლიერო შენი ქვეყანა.  
**- ჩვენი გაზენიანი მკითხველებს ახლა ლექსით გავსაუბროთ.**  
- რა სხვაობაა ჩვენ შორის, ღმერთო...  
ორივე ჩვენს თავს ყველას ვურთივებთ, სხვა დანარჩენი არის სულგორი, სხვა დანარჩენი არის ურთივო...  
მეც სიყვარულის გარდა, ისე! რა ძლიერ მსურდა, რომ მყოლოდა ვინმე, ზეცამ ვენები გადაისერა მშით და სილურჯედ ეღვრება მინებს. დღეები მირბის, გვეცილიან ხშირად... (ცვდილობ, შენსავით დავგრე უბრალო), სიყვარულად კი შენსავით მშობი - ერთმანეთს როგორ გვავართ, უფალო.

# „ყოველთვის ჩამოივლის მატარებელი, როგორცაა აუსილავალი, გაჰყვება“

მე-7 გვერდიდან

**- თქვენი აზრით, რას უნდა ითვალისწინებდეს თეატრი - ისეთი სპექტაკლები დადგას, რომელიც მაყურებელზეა გათვლილი და შეიძლება არ იყოს მაღალი ხარისხის, თუ იყოს ინოვაციური ჟანრის (ფსიქოლოგიური და ასე შემდეგ), ხარისხიანი, რომელსაც რთულად იღებს მაყურებელი?**  
- თეატრი ყველაფერს უნდა ითვალისწინებდეს. ის ვერ იქნება განყენებული მაყურებლისგან და ვერც მხოლოდ მაყურებლის მოთხოვნაზე ორიენტირებული. მას აქვს ამოცანა, ილაპარაკოს საზოგადოებისთვის აქტუალურ პრობლემებზე სხვადასხვა ფორმით, ენით. ხარისხის განსაზღვრაც წინასწარ შეუძლებელია. არავინ იცის, ჩანაფიქრი რა შედეგამდე მივა. ეს ხომ შემოქმედებითი პროცესია.  
**- რა პრობლემები აქვს დღეს ქართულ თეატრს და მათგან რომელია „ქართული“, ანუ ისეთი, რაც არ ახასიათებს დასავლურ თეატრს?**

**ლურ თეატრს?**  
- ეს ძალიან კომპლექსური კითხვაა და პასუხიც არაერთგვაროვანი იქნება. ვფიქრობ, ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ დღეს თეატრს სამსახურად უფრო თვლიან, ვიდრე მეორე სახლად. აქა-იქ იგრძნობა, რომ სიყვარული თეატრისადმი თავად თეატრის ზოგიერთ პრაქტიკოსში გაფერმკრთალდა. ეს ეხება როგორც უფროს, ასევე, ახალგაზრდა თაობას. პრობლემა ქართული პიესების არასაკმარისობა, პრობლემებია, ასევე, სწავლებაში, ხელობის დაუფლებაში, რასაც ხშირად ვაწყვედებით და ხილულია. განა სასწავლებლები კარგ კადრებს არ უშვებენ? უბრალოდ, მათ შორის რადიკალური განხვავებაა. სტანდარტის შენარჩუნება მგონია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. შემოქმედებით პრობლემებს რა დალევს. როცა თეატრი ძალიან კარგადაა, მაშინაც კი ბევრი პრობლემაა. თეატრს უნდა პრობლემა და ჩიხი, სწორედ ასეთ დროს პოულობს ის გამოსავალს და იბადება ხელოვნება.

**- როდესაც სცენიდან მსახიობის ხმა არ ისმის ან სპექტაკლი რეჟისორული ლაფსუსებთანაა სავსე, თვლით, რომ ეს პროფესიონალიზმის დეფიციტია?**  
- დიახ, ამ პრობლემას თითქმის ყველგან ვაწყვედებით, მაშინაც იყო, როცა სცენაზე ოსტატები იდგნენ. პროფესიისადმი სიყვარული და თავდადება რომ ვახსენებ შემთხვევით, მაშინაც ვგულბობობ. მსახიობს სჭირდება მუდმივი ზრუნვა და მუშაობა საკუთარ თავზე. სასცენო მეტყველების პრობლემა, სამწუხაროდ, უახლესი ქართული თეატრისთვის აქტუალურია. აქ ჩვენი ხასიათი გლინდება - რადიკალიზმი: ან ვევირით სცენიდან, ან გზურჩულებთ, ოქროს შუალედის დაცვა არ გამოვცდის.  
**- უცხოეთში თუ გცემიათ თვალში მსახიობების ზედამხედველი დამოკიდებულება საქმისადმი?**  
- რა თქმა უნდა, მსახიობი ყველა კონტი-

ნენტზე მსახიობია, პარიზისა და ბერლინის სცენებზეც მინახავს ცუდი მსახიობები, მათ შორის, ნაციონალური თეატრების სცენებზე. ცუდი სპექტაკლებიც მინახავს და ეს ყველაფერი დამოკიდებულია ბრალიცაა.  
**- რა გეგმები გაქვთ?**  
- ახლა ვმუშაობ, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო ეპოქაზე, ერეკლე II-ის დროის თეატრზე. ბევრი სახალე და აღმოჩენა იქნება სათეატრო საზოგადოებისთვის, ამავდროულად, ახალი წიგნი ისტორიის გადასახვედან ეხმანება ქართული თეატრის დღევანდელი მდგომარეობის და ექსკლუზიურად ამ გამოცემისთვის იმუშავებს ცნობილი ქართველი მხატვარი მამუკა ცეცხლაძე, რომელიც შექმნის იმ პერსონაჟების პირველ ილუსტრაციებს, რომლებიც მხოლოდ სახელებითა და გვარებით ვიცით. გამოცემის ვიზუალურ კონცეფციაზე მუშაობს ცნობილი ქართველი ფოტოგრაფი და წიგნის დიზაინერი ირინა აბუაძე. ცხადია, ამ იდეას მარტო, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერის გარეშე, ვერ განვახორციელებ. პარალელურად, ვიმოგზაურებ საბერძნეთსა და საფრანგეთში, სადაც თეატრალურ ფესტივალებს დავესწრებ და მსოფლიო თეატრის გამორჩეულ ნიმუშებს ვნახავ.

<p><b>მთავარი რედაქტორი</b></p> <p><b>მარიანა მითაიშვილი</b></p>	<p><b>გამომცემი რედაქტორი</b></p> <p><b>ირმა შერვაშიძე</b></p> <p><b>ლიტერატურული რედაქტორი</b></p> <p><b>ეთერ სომარიკი</b></p>	<p>რედაქცია პასუხს არ ავებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.</p>	<p><b>გამომცემი - შპს</b></p> <p>«ბანკიი აპარა და ალპარიი»</p> <p><b>კოორდინირებული მომსახურება - შპს «კოლორ პრინი»</b></p> <p><b>მის: ქ. თბილისი, ქ. ბაქდაშვილის ქ. №3</b></p>	<p><b>მისამართი: 6000, ბათუმი, ბრიგოვოვოს ქ. №2</b></p> <p><b>ტელ: 27-13-31</b></p> <p><b>აიწყო და აკაპალონა</b></p> <p><b>გაზეთი აპარისი, ქ.მ.მ. ცენტრი</b></p> <p><b>დასაბავაღ ხელმოწერის 11/04/24, 18 წ.ს.</b></p>	<p><b>დირექტორი</b></p> <p><b>მამუკა ბერიკი</b></p>
--	---	--	---	---	---



# სასილი ბერძენივილი: მიწა, ბევრი ტიტულოვანი ფიზიკისტი გვყავდას

ბათუმის სპორტული ცენტრის ფიგურული ციგურაობის მწვრთნელი სესილი ბერძენივილი ბათუმში 2012 წლიდან მუშაობს. მასთან ბავშვები 5 წლის ასაკიდან ვარჯიშობენ და წარმატებებსაც აღწევენ

ქალბატონი სესილი თავდაპირველად საქართველოს ფიგურული ციგურაობის მწვრთნელი იყო თბილისში. ადრე თავდაცვითი სპორტსმენი გახლდათ. როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ყინულზე მშობლებმა სუსტი კანმრთელობის გამო მიიყვანეს. ამბობს, რომ სპორტის ეს სახეობა დასავლეთში მცხოვრებ ბავშვებს განსაკუთრებით სჭირდებათ. ყინული უნდადის „ბალიშია“, რომელიც აუცილებელია ბრონქების სისუსტის დროს. თავად სესილი ბერძენივილი 5 წლიდან დაიწყო ყინულზე ვარჯიში. მწვრთნელებმა მასში გამორჩეული მონაცემები რომ დინახეს, სპორტულ ჯგუფში გადაიყვანეს. სამი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც შეიყვანეს. იმ დროს იქ მოხვედრა არ იყო ადვილი. მაშინ (და ახლაც) თბილისში პატარა ყინულის მოედანი იყო, რომელიც სრიალის შესასწავლად კი ვარგა, მაგრამ სპორტული ჯგუფისთვის საკმარისი აღარაა.

ტურნირებზე ნაკრების სახელით რომ გავიდა, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, სავარჯიშოდ რუსეთში გადაიყვანეს, სადაც თვეობით ოლიმპიური სტანდარტების ყინულის მოედანზე ვარჯიშდებოდნენ. იქ რუსეთის ჩემპიონატებში მონაწილეობდა, საპრიზო ადგილებზე გადიოდა და ვინ იცის, მისი სპორტული კარიერა როგორ დასრულდებოდა, რომ არა კარავმა - ფენის ძვალი გაეზარა. აქტიურ სპორტს რომ ჩამოშორდა, მწვრთნელად მუშაობა შესთავაზეს. მას მუსიკალური განათლებაც ჰქონდა, ერთი პერიოდი ყინულზე მუშაობა შეწყვიტა და მუსიკალურ საქმიანობას მიჰყო ხელი. 2008 წლიდან ზუგდიდში მიიწვიეს მწვრთნელად, სადაც მაშინ ფიგურული ციგურაობის აღორძინება დაი-



წყო ისევე, როგორც ბათუმში. მას გამორჩეულად უყვარს თავისი პროფესია და სურს, კიდევ არაერთი წელი იმუშაოს, რათა საქართველოს ბევრი ღირსეული და ტიტულოვანი სპორტსმენი აღუზარდოს, ზამთრის ოლიმპიური სახეობა აჭარაში და საერთოდ, მთელ საქართველოში წარმატებული იყოს.

ზუგდიდში 2011 წლამდე იმუშავა. ყინულის სასახლის დახურვის შემდეგ, ქალბატონი სესილი საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციამ ბათუმში გადმოიყვანა მწვრთნელად. ამბობს, რომ მათი მხრიდან ჩვენს სპორტსმენებს ძალიან დიდი ხელშეწყობა აქვთ და წარმატებას რომ აღწევენ, ეს ფედერაციის, პირადად მისი პრეზიდენტის მაკა გიორგობიანის დამსახურებაა. რა თქმა უნდა, ემადლიერებიან აჭარის ფიგურული ციგურაობის ფედერაციასა და ქალაქ ბათუმის მერსს. საერთაშორისო ტურნირებში პირველად რომ მონაწილეობდნენ,

იქ არც კი იცოდნენ ქართველი ფიგურისტების შესახებ, ახლა კი ყველამ კარგად გაიცნო. ქალბატონი სესილის თქმით, აუცილებელია, მოციგურავე ფიზიკურად ძლიერი იყოს, ვესტიბულარული აპარატი კარგი ჰქონდეს - აქ ხომ ტრიალში ნახტომები, ბრუნვები კეთდება. ამ მონაცემებს ბევრი ფლობს და მწვრთნელმა სპორტსმენში სწორედ ეს მონაცემები უნდა განავითაროს.

სესილი ბერძენივილის აღსაზრდელები საქართველოსა და აჭარის არაერთგზის ჩემპიონები, ვიცე-ჩემპიონები არიან. ირინე ჩხეტიანი და ელენე ქათამაძემ, რომლებიც გასული წლის დეკემბერში პატარებში გამოდიოდნენ, საქართველოს დიდი ჩემპიონატზე ოქროს მედლები მოიპოვეს, ეკატერინე იაზაჯი და ქეთევან მახარაძემ - ვერცხლის. 17 წლის ეკატერინემ სად არ გამოიჩინა თავი - ვენა, ბუდაპეშტი, სოფია, ბრატისლავა, ცელე, ლუქსემბურგი, ერევანი... ლუქსემბურგში

მასზე ადგილობრივმა პრესამ კარგი წერილიც გამოაქვეყნა, სადაც წერდნენ, რომ საქართველოდან ჩამოსულმა გოგონამ რუსებსა და გერმანელებს აჯობა. ეკატერინე საქართველოს და აჭარის მრავალგზის ჩემპიონიც გახლავთ. იგი სესილი ბერძენივილის აღზრდილია.

15 წლის ქეთევან მახარაძე სამჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი, ორჯერ საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული გახდა, სამჯერ კი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

13 წლის ირინე ჩხეტიანი სპორტზე 8 წელია დადის, ბევრ საერთაშორისო შეჯიბრში მონაწილეობდა. წელს საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული გახდა, ასევე, პირველი ადგილი აიღო საქართველოს ჩემპიონატზე თავის ასაკობრივ კატეგორიაში, აკრობატიკაზე დადის.

10 წლის ელენე ქათამაძემ თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე, ასევე პოლონეთში, პირველი ადგილი აიღო. როგორც ყველა, ისიც ძალიან მონდომებული და შრომისმოყვარე გოგონაა. როგორც მწვრთნელმა გვითხრა, ეკატერინე იაზაჯი გაისად 18 წლის გახდება და მალე დამოუკიდებელ სამწვრთნელი მუშაობას შეუდგება, რაც მისი დიდი სურვილია.

- მინდა, პატარა სპორტსმენებთან ვარჯიშისას დავიყენო გვერდით, გადავცე მას ჩემი გამოცდილება. ის ძალიან კარგი ფიგურისტია და ბევრი კარგი სპორტსმენის აღზრდა შეუძლია. აღსანიშნავია, რომ ეკატერინე ძალიან მიზანდასახული და შრომისმოყვარეა - შეჯიბრებისთვის მომზადებასაც ასწრებს და ბავშვებთანაც მუშაობს. ფიგურული ციგურაობა არაჩვეულებრივი სპორტია და ჩემი დიდი სურვილია, ამ სპორტით რაც შეიძლება მეტი ბავშვი დაკავდეს, ეს ჯანმრთელობისთვისაც კარგია. კიდევ მყავს ერთი აღზრდილი - ინგა ფუტყარაძე, რომელიც ახლა თბილისის არენაზე მუშაობს, სადაც მწვრთნელად ჩვენი რეკომენდაციით მიიწვიეს, თან უმაღლეს სასწავლებელშიც ჩააბარა. გვითხრა სესილი ბერძენივილი, რომლის მოციგურავეები საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობისთვის ემზადებიან, რომელიც ახლა სლოვენიაში (იასენიკაში) გამართება.

## „საბას“ პრემიაზე წარდგენილი ნანა მესხის ოჯახის საოცარი ისტორიები

„ჯოჯო გამოქცეული ღირსება“ - ასე უწოდა კომპოზიტორმა და მომღერალმა და ახლა უკვე ავტორმა ნანა მესხმა თავის ბროშურას, რომელიც რამდენიმე დღის წინ ფართო საზოგადოებას აჭარის მწერალთა სახლში წარუდგინა. აღსანიშნავია, რომ ბროშურა დებიუტის ნომინაციაში „საბას“ პრემიაზეა წარდგენილი

შეხვედრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ახალი თავისუფალი პროექტების“ მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტის ფარგლებში მოეწყო. ბროშურაში ავტორი ცხოვრების იმ ერთ-ერთ მონაკვეთს აღწერს, რაც მის მესხიერებაში საბჭოეთის წლებიდან დაიღწა. ეს არის პირადი განცდები, მისი ოჯახისთვის მძიმე წლები, პატარა-პატარა სიხარულებიც.

მწერალთა სახლის დირექტორმა ლალი კონცელიძემ უფრო ახლოს წარუდგინა შეკრებილი ნანა მესხი, რომელმაც ბევრი ისაუბრა დედაზე, თავის ოჯახზე, რადგანაც ბროშურაში დოკუმენტურად სწორედ მისი ოჯახის ამბავია გადმოცემული. დედა, როგორც აღნიშნა, იყო ულამაზესი ქალბატონი, რომელიც ძალიან კარგად მღეროდა, უკრავდა გიტარაზე, მაგრამ... ტექნიკური სფერო არჩია. ქალბატონმა ნანამ რამდენიმე ამონარიდი წაგვიკითხა ბროშურიდან - საინტერესო, თუმცა მტკივნეული ისტორიები. წიგნაკში გადმოცემულია მისი ოჯახისთვის საძნებლო, გასული საუკუნის 80-იანი წლები. როგორც გვითხრა, ამ ბროშურით მწერალთა რეგებისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა, თუმცა დიდი ხანია წერს ჩანახატებს, ნოველებს, რომლის შესახებ აქამდე მხოლოდ ახლო სამეგობრომ იცოდა. ბავშვობიდან უფრო ლექსებს წერდა, მაგრამ დადა და დრო, როცა ჩანაწერებს მიჰყო ხელი და მას ახლა ძალიან სიამოვნებს სიტყვასთან ურთიერთობა.

„ჯოჯო გამოქცეული ღირსება“ დედას - ლუიზა ფრანგიშვილს მიუძღვნა. ბროშურა ორი ნაწილისგან შედგება. „და - ნარჩენები“ ბროშურის მთავარი ნაწილია, „ჯოჯო გამოქცეული ღირსება“ - მეორე, რომელშიც შედარებით მცირე ისტორიები გადმოცემული. ამ ნაწილიდან „კეთილი მეზობლის“



შესახებ თავად მოგვიყვა.

ნანა მესხის ოჯახის ისტორია, საკმაოდ მძიმეა, ეს არის წლები, როცა უდანაშაულო დედა გისოსებს მიღმა აღმოჩნდა და „დედაზე ფიქრი“ შავი ღრუბელივით აწვა გოგონას გულს... აუტანელია იმ ტკივილის გადმოცემა, რომელიც პატარა გოგონას სხეულის ყველა უჯრედს უწვავდა.

ბროშურაში არაჩვეულებრივადაა გადმოცემული მისი განცდები. ისტორიები იმდენად გიზიდავს, რომ გსურს ბოლომდე სულსწრაფად წაიკითხო. ავტორმა სითბოთი და სიყვარულით გაიხსენა თემურ წიკლაურთან შეხვედრა, ასევე, ბათუმელი ამირან კეკუა, რომელთანაც მამა მეგობრობდა. ის დედის მოციმელო იყო. ამირანის ოჯახის მწლებების უამს, თბილისში ჩავიდა, შეკრება სამეგობრო და ერთად დასახეს გეგმა, როგორ დახმარებოდნენ უდედოდ, გადამწვარ სახლში უფულოდ დარჩენილ ბავშვებს.

აკა მორჩილაძე ამ წიგნაკის შესავალ ნაწილში წერს: „ყველას გვაქვს ჩვენი წილი რთული და წინააღმდეგობრივი საბჭოთა წარსული. ამ ამბების სიმძიმესა და ტკივილებს სულაც არ სძინავს და ხშირად ფურცლებზე გადმოვა ხოლმე, როგორც ერთი ადამიანის შინაგანი ტვირთისა და უწყვეტი სინანულის აღმწერი. ერთი შეხედვით უბრალო, ამ დროს კი ადამიანთა ბედის წამს-

დენი ამბები. ეს წიგნაკიც რაღაც ასეთთან სამუდამო კავშირია“.

აი, რა ითქვა შეხვედრაზე ნანა მესხის ბროშურის შესახებ.

**შორენა მახარაძემ, ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორი:**

- ნანა მესხმა აქ თავისი ემოცია შესანიშნავად გადმოსცა სიმღერითაც, რომელსაც მე პირველად მოვუსმინე. ამის შემდეგ სპეციალურად მოვძებნი, რომ კიდევ ვისაიმიოვნო. რაც შეეხება ბროშურას, ორჯერ გადავიკითხე. 90-იანი წლები გამახსენა. ავტორის სიტყვის გრძნობა რომ აქვს, ერთმა სიტყვამაც მიმანიშნა „და-ნარჩენები“. აქამდე არასოდეს მიფიქრია, რომ ამ სიტყვაში ნარჩენები იყო. ეს ძალიან მტკივნეულია. თითოეული ნარჩენი, რომელიც ჩვენს გვერდითაა, ტკივილია, რადგანაც ჩვენვე ვგვებს. ვფიქრობ, ეს მხატვრულ-დოკუმენტური პროზაა, რომელიც შესანიშნავად იკითხება. ალბათ, ამ კუთხით დაასახელეს „საბას“ პრემიის ნომინატებში. ეს წიგნი ნათელი და ოპტიმიზმით სავსეა იმიტომ, რომ იმ ნარჩენების გვერდით ხალასი, ბაჯლო, ქართული გულის, გენის ადამიანები არიან. მინდა ვთქვა, რომ ნანა მესხი და მისი ძმა ნამდვილი გმირები არიან, რადგანაც ძალიან რთულია, ასეთ პირობებში დარჩე ადამიანად, ხელოვანად... იმდერო სიკეთეზე, სიყვარულზე. ეს

დიდი შინაგანი კულტურაა - შენი ტკივილი, უარყოფითი ემოცია შენთვის დაიტოვო და მხესავით გააშუქო. ასეთია ნანა მესხი. მიყვარს ასეთი ნიჭიერი ქართველები.

**ბელა ქვიშორია, პოეტი:**

- ყველაზე დიდი პლუსი ამ ბროშურის ის არის, რომ აიღებ თუ არა ხელში, აუცილებლად ბოლომდე ჩაიკითხავ. თავიდან გამიჭირდა გარკვევა, რა უნარის იყო. ბოლომდე რომ ჩავედი, მივხვდი, ეს ჩემთვის დღიურებაა. ვფიქრობ, მასში გადმოცემული თემებისთვის უფრო ფართოდ გასაშლელია წიგნი, ავტორმა უფრო დიდ პანოზე უნდა იფიქროს, რადგან მას აქვს ამის შესაძლებლობა. დიდი სათქმელის გადმოსაცემად ეს საკმარისი არაა.

**მაია სურმანიძემ, ბათუმელი:**

- ნანა მესხის ბროშურა დედისადმი მიძღვნილი ერთგვარი რეკვიემია. მიხარია, რომ ეს პატარა ბროშურა წარდგენილია „საბას“ პრემიაზე დებიუტანტის ნომინაციაში. ნანა არის არაჩვეულებრივი კომპოზიტორი, ქალაქური სიმღერების შემსრულებელი და მობარული ვარ, რომ მას კალამიც ასე უჭირს.

**დავით თაფრობაძე, აჭარის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე:**

- ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი ბროშურაა. პირველ რიგში, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მკითხველს ფიქრის საშუალებას აძლევს, რათა ჩაუღრმავდეს და განსაჯოს, რაზე და როგორ წერს ავტორი. ვულოცავ ნანას, ბრწყინვალედ გაკეთებული ბროშურაა. ვეროდენა მოთხრობებში დიდი აზრი დევს. ვულოცავ. მალე „საბას“ პრემიაც მიგველოცოს.

**ნინო ზოსიმამ, მწერალი:**

- ბათუმს ასეთი შეხვედრები უხდება. დიდი მადლობა ამ საღამოსთვის. ისტორიები, რომლებსაც ნანა ჰყვება, ძალიან ემოციურია. შესანიშნავი იყო მისი ნამღერი. მადლობა მას ამისთვის.

- დიდი პატივია ასეთი აკადემიური საზოგადოების წინაშე ჩემი ბროშურის წარდგენა. იმედი მაქვს, რომ ის ემოციები, რაც დღევანდელი საღამომდამ მემყვება, ამ ბროშურის წაკითხვის შემდეგ მათაც გაჰყვებათ. მადლობა ყველას, ვინც დღეს ჩემთან ერთად იყო, ვინც ამ საღამოს ჩატარების საშუალება მომცა, - გვითხრა ნანა მესხმა, რომელმაც რამდენიმე სიმღერითაც დაატკბო შეკრებილი საზოგადოება.